გაზეთი ზევრისა. „ვერსიის“ ერთი

ვერსია

№1 (1691) 14 თებერვალი ოთხშაბათი 2024 წელი

1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.versia.ge

ოპოზიცია ცუგცვანგში ანუ რატომ გაცვალეს ორმა ირაკლიმ პოსტები

84 ხმით, ათის წინააღმდეგ – საქართველოს ახალი პრემიერ-მინისტრი და მთავრობა ჰყავს

ოპოზიციის „მეჩვიდმეტე გაელვება“

გაუგორა თუ არა მიხეილ სააკაშვილმა კოჭი სალომე ზურაბიშვილს

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

განახლებული მთავრობის მთავარი ეკონომიკური მესიჯები

ირაკლი კობახიძის ახალ პროგრამას – „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“ პარლამენტმა ნდობა გამოუცხადა

პუტინის ახალი ზღაპრები მსოფლიოსთვის და კმაყოფილი რუსული პროპაგანდა

„არც ერთი სხვა ქვეყნის არც ერთ ლიდერს არ ელიან ისე მსოფლიოში, როგორც პუტინს“

პოლიციამ თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს – დაკავებულია ოცი პირი, ერთი კი მხილებულია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოს და ამავე მთავარი სამმართველოს დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1995 წელს დაბადებული გ.ჩ., 1995 წელს დაბადებული ს.ა. და წარსულში ნასამართლევი, 1991 წელს დაბადებული პ.ბ. დააკავეს. ნივთმტკიცებად ამოღებულია 4 ცეცხლსასროლი იარაღი, 3 მჭიდი და 25 ვაზნა.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების მთავარი სამმართველოსა და საგამოძიებო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ორი პირი – 1980 წელს დაბადებული ა.მ. და 1988 წელს დაბადებული ვ.ა. დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულების საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი, ვაზნები და მჭიდი ამოიღეს.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით, 1980 წელს დაბადებული დ.დ. თბილისში დააკავეს.

პატრულ-ინსპექტორებმა, დაკავებულის ავტომობილის ჩხრეკის შედეგად, „გლოკ“– ის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და ვაზნები ნივთმტკიცებად ამოიღეს.

ამავე ბრალდებით, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა დააკავეს 1984 წელს დაბადებული გ.ხ., რომლის ავტომობილის ჩხრეკისას ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და ვაზნები.

მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის მცხეთის რაიონული სამმართველოს და დუშეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ორი პირი დააკავეს.

სამართალდამცველებმა 1983 წელს დაბადებული ჯ.გ.-ს სამუშაო ადგილის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღეს ცეცხლსასროლი იარაღი და 10 ვაზნა.

ხოლო, 1983 წელს დაბადებული გ.მ.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას 2 ცეცხლსასროლი იარაღი, ხელყუმბარა, ხრახნილლულიანი და გლუვლულიანი 2 თოფი, 733 ვაზნა და 20 მჭიდი.

შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების და კასპის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა კი, სხვადასხვა დროს ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ერთი პირი დააკავეს, ერთი კი ამხილეს.

დაკავებულის, 1983 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი თ.კ.-ს პირადი ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღეს ცეცხლსასროლი პისტოლეტი, 7 ვაზნა და მჭიდი, ხოლო მხილებული პირის – 1944 წელს დაბადებული, პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ვ.მ.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოღებულია ავტომატი, 3 მჭიდი და 87 ვაზნა.

სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ფოთის, მარტვილისა და ჩხოროწყუს რაიონული სამმართველოების თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამი პირი – 1978 წელს დაბადებული გ.გ., 1950 წელს დაბადებული გ.რ. და 1961 წელს დაბადებული თ.ჯ. დააკავეს.

პოლიციამ ბრალდებულების პირადი, საცხოვრებელი სახლების და დამხმარე სათავსოების ჩხრეკის შედეგად ნივთმტკიცებად ამოიღო, 3 ცეცხლსასროლი პისტოლეტი, სანადირო თოფი, 2 მჭიდი და 5 ვაზნა.

კახეთის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო სამმართველოს, საგარეჯოსა და ლაგოდეხის რაიონული სამმართველოების თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამი პირი დააკავეს.

პოლიციამ, 1994 წელს დაბადებული კ.ა.-ს საცხოვრებელი სახლის, ეზოსა და დამხმარე სათავსოს ჩხრეკისას ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და 62 ვაზნა ამოიღო.

1965 წელს დაბადებული მ.მ.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად კი ამოღებულია გადაჭრილი თოფი და 50 ვაზნა.

ხოლო ოპერატიული ღონისძიების შედეგად, სამართალდამცველებმა 1984 წელს დაბადებული ამჟამად პატიმრობაში მყოფი ფ.ი.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას პისტოლეტი და 38 ვაზნა ამოიღეს.

გურიის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო სამმართველოსა და ოზურგეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ორი პირი დააკავეს.

სამართალდამცველებმა 1990 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი გ.გ.-ს პირადი და ავტომანქანის ჩხრეკისას, ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და 6 ვაზნა, ხოლო, 1982 წელს დაბადებული წარსულში ნასამართლევი ა.შ.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად ცეცხლსასროლი იარაღი, 4 მჭიდი და 20 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

იმერეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, 1976 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ლ.კ. დააკავეს. სამართალდამცველებმა ბრალდებულის პირადი და ავტომანქანის ჩხრეკისას პისტოლეტი, მჭიდი და 64 ვაზნა ამოიღეს.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ცაგერის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს 1956 წელს დაბადებული რ.კ., რომლის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და 41 ვაზნა.

დანაშაული 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტებზე გამოძიება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე აშშ-ის თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტოს რეგიონული ოფისის ხელმძღვანელს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა აშშ-ის თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტოს (DTRA) კავკასიის რეგიონული ოფისის ხელმძღვანელთან, ვიცე-პოლკოვნიკ დევიდ კანადეისთან.

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ აშშ-ის თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტოს თბილისის ოფისის პროგრამის კოორდინატორები.

შეხვედრაზე, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ დევიდ კანადეის ინფორმაცია მიაწოდა სამინისტროს დანაყოფების საქმიანობისა და არსებული საჭიროებების შესახებ. მხარეებმა არსებული თანამშრომლობისა და მიმდინარე პროექტების ფარგლებში განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებები განიხილეს და სამომავლო ურთიერთობის პრიორიტეტულ მიმართულებებზე შეთანხმდნენ.

ალექსანდრე დარახველიძემ ყურადღება გაამახვილა წლების განმავლობაში, ქვეყნის უსაფრთხოების სფეროში არსებული კომპლექსური გამოწვევების საპასუხოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაძლებლობების გაძლიერების მიმართულებით, აშშ-ის მხარის მიერ გაწეულ მნიშვნელოვან მხარდაჭერაზე. მან ხაზი გაუსვა სამინისტროსთვის სააგენტოს საქმიანობის მნიშვნელობას ისეთი პრიორიტეტული მიმართულებებით, როგორიცაა სახმელეთო და სანაპირო საზღვრის დაცვა, ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოება და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების პრევენცია.

შეხვედრის დასასრულს, მინისტრის მოადგილემ მადლობა გადაუხადა აშშ-ის თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტოს წლების განმავლობაში გაწეული ტექნიკური და ექსპერტული მხარდაჭერისათვის.

ოპოზიცია ცუგცვანგში ანუ რატომ გაცვალეს ორმა ირაკლიმ პოსტები

მაკა რუხაძე

84 ხმით, ათის წინააღმდეგ – 8 თებერვლიდან, საქართველოს ახალი პრემიერ-მინისტრი და მთავრობის განახლებული შემადგენლობა ჰყავს. „ქართული ოცნების“ ყველა დამსწრე დეპუტატმა მხარი დაუჭირა ირაკლი კობახიძის მთავრობას და სამთავრობო პროგრამას – „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“. სხდომას 105 დეპუტატი ესწრებოდა.
8 თებერვლიდან, საქართველოს ახალი პრემიერ-მინისტრი და თავდაცვის მინისტრი ჰყავს. მთავრობის მეთაურის პოსტზე, ირაკლი ღარიბაშვილი პარტია „ქართული ოცნების“ აწ უკვე ყოფილმა თავმჯდომარე, ირაკლი კობახიძემ ჩაანაცვლა, ხოლო ღარიბაშვილმა პარტიაში – ირაკლი კობახიძე. დიახ, ორმა ირაკლიმ ადგილები გაცვალეს, ხოლო თავდაცვის მინისტრი, ჯუანშერ ბურჭულაძე დეპუტატმა ირაკლი ჩიქოვანმა შეცვალა.

84 ხმით, ათის წინააღმდეგ – საქართველოს ახალი პრემიერ-მინისტრი და მთავრობა ჰყავს

დამტკიცებამდე, ირაკლი კობახიძემ პარლამენტს სამთავრობო პროგრამა „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“ წარუდგინა. სიტყვით გამოსვლისას, პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა რამდენჯერმე ახსენა „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი და საპატიო თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი და მადლობა გადაუხადა მას პრემიერად წარდგენისთვის.

„ის, რომ საქართველოს დღეს აქვს დემოკრატია, მშვიდობა, ეკონომიკური წინსვლა და გახდა ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა, პირველ რიგში, არის ბატონო ბიძინა ივანიშვილის დამსახურება“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ამის შემდეგ, ახალი მინისტრთა კაბინეტის სამომავლო გეგმებსა და რეფორმებზე ისაუბრა და სხვადასხვა სექტორის, მათ შორის, ეკონომიკის, სოციალური პოლიტიკის, ჯანდაცვის, თავდაცვის, კულტურის, განათლების, საგარეო პოლიტიკის, ოკუპირებული ტერიტორიების, ქართული დიასპორის შესახებ საკუთარი ხედვები გააჟღერა. ირაკლი კობახიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პოლიტიკა უცვლელი დარჩება მრავალი მიმართულებით.

გამოსვლის დასასრულს, პრემიერობის კანდიდატმა განაცხადა, რომ სეკულარიზმის პრინციპის დაცვით, სახელმწიფო ყველა ზომას მიიღებს, რომ კიდევ უფრო გააძლიეროს ეროვნული იდენტობის ერთ-ერთი ქვაკუთხედი – ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, რათა „ნეობოლშევიკების თავდასხმებისგან“ დაიცვას.

პარალელურად, ირაკლი ღარიბაშვილი საზოგადოებას უკვე დაემშვიდობა და პარტიის თავმჯდომარის პოსტზე გადაინაცვლა:

„დღეს მე ვტოვებ პრემიერ-მინისტრის თანამდებობას და ნება მომეცით მოკლედ, მაგრამ მკაფიოდ განვმარტო ამ გადაწყვეტილების მიზეზები. სულ ახლახან, გასული წლის ბოლოს, მე საზოგადოებას ჩავაბარე ვრცელი ანგარიში ჩემი სამწლიანი საქმიანობის შესახებ. მოგეხსენებათ, მთავრობის მეთაურის პოზიციაზე მეორე ვადით მუშაობა ურთულეს პერიოდში, შიდა თუ საერთაშორისო პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური კრიზისების პირობებში დავიწყე. მე პირნათლად ვემსახურე ჩვენს ქვეყანას, უკომპრომისოდ ვიცავდი ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს და მე ვამაყობ შედეგებით, რომლებსაც ამ პერიოდში გუნდთან ერთად მივაღწიეთ. ქართული ოცნების მმართველობის პერიოდში მე ორჯერ მომიწია ამ უმაღლეს თანამდებობაზე მუშაობა, ჯამში ყველაზე მეტ ხანს – 5 წელი ვიყავი პრემიერ-მინისტრი. ჩვენი პოლიტიკური გუნდის სიძლიერის ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი არის შიდა დემოკრატია, რომლის ყველაზე მკაფიო გამოვლინება გახლავთ როტაციის პრინციპი – გუნდში მრავალი წარმატებული ლიდერია და საჭიროა, სხვებსაც მიეცეთ შესაძლებლობა; მით უმეტეს, რომ ახლა ახალი ამოცანების წინაშე ვდგავართ – შემოდგომაზე ახალ პარლამენტს ავირჩევთ და ქართული ოცნება უნდა მოემზადოს არჩევნების დამაჯერებლად მოსაგებად, რათა გავაგრძელოთ წინსვლა სხვა, უფრო დიდი მიზნების მისაღწევად“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, პოლიტსაბჭოსგან მიიღო შეთავაზება პარტიის თავმჯდომარის პოსტზე, რაც დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა.

სამთავრობო ცვლილებას წინ უძღვოდა კიდევ ერთი პოლიტიკური სიახლე, როდესაც წინასაახალწლოდ, მოულოდნელად გაირკვა, რომ პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილი დაბრუნდა. მართალია, ჯერ მხოლოდ პარტია „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარეა, მაგრამ მისი დაბრუნებისთანავე გავრცელდა ხმა, რომ ივანიშვილის მესამედ მოსვლას გარკეული საკადრო ცვლილებები მოჰყვებოდა.

1 თებერვალს, პარტია „ქართული ოცნების“ ყრილობაზე, ირაკლი კობახიძე საქართველოს პრემიერ-მინისტრის პოსტზე ოფიციალურად წარადგინეს. თავის მხრივ, ირაკლი კობახიძე პარლამენტს უკვე გადაუგზავნა მთავრობის შემადგენლობა, სადაც მხოლოდ ერთადერთი ცვლილებაა – თავდაცვის მინისტრის პოსტზე, ჯუანშერ ბურჭულაძეს დეპუტატი ირაკლი ჩიქოვანი ჩაანაცვლებს.

ხელისუფლების პოლიტიკური ოპონენტები ბევრს ქილიკობენ ღარიბაშვილი-კობახიძის გადანაცვლებაზე. ზოგი ფიქრობს, რომ „შესაკრებ რიცხვთა გადანაცვლებით, ჯამი არ შეცვლილა“, ზოგი უფრო შორს მიდის და ამ ცვლილებას ღარიბაშვილ-კობახიძის როქს უწოდებს (როქი საჭადრაკო ტერმინია, რაც მეფისა და ეტლის ერთობლივ სვლას ნიშნავს, – ავტ.), მაგრამ სინამდვილეში, ამ ცვლილებებით, ხელისუფლებამ ოპოზიცია ცუგცვანგში (ფიგურების ისეთი განლაგება ჭადრაკში, რომლის დროსაც აუცილებელია ისეთი მორიგი სვლის გაკეთება, რასაც მდგომარეობის გაუარესება და პარტიის წაგებაც კი მოსდევს, – ავტ.) ჩააგდო და აგიხსნით, რატომ.

ირაკლი ღარიბაშვილის პარტიაში გადანაცვლება კარგად მოფიქრებული წინასაარჩევნო სვლაა, რადგან 2012 წლის წინასაარჩევნო კამპანიას, სწორედ „ქართუ ფონდის“ მაშინდელი თავმჯდომარე, ირაკლი ღარიბაშვილი ხელმძღვანელობდა და ყველას კარგად გვახსოვს, რა შედეგით დასრულდა ეს ფაქტი იმავე წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე – მაშინდელი ხელისუფლების ანუ ნაციონალური მოძრაობის სრული კრახით.

ოპოზიციას საქმეს ისიც „ურთულებს“, რომ ბევრი მცდელობის მიუხედავად, დაერწმუნებინა საზოგადოება ხელისუფლების პრორუსულობაში, 2023 წლის დეკემბერში კრახით დასრულდა, როდესაც ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერობის პირობებში, საქართველომ ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიიღო.

აქედან გამომდინარე, ოპოზიციას საღლიცინოდ საქმე არ აქვს. პირიქით, სერიოზული მუშაობა მოუწევს, თუ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე სასურველი შედეგის მიღება სურს.

განახლებული მთავრობის მთავარი ეკონომიკური მესიჯები

ირაკლი კობახიძის ახალ პროგრამას – „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“ პარლამენტმა ნდობა გამოუცხადა

მაკა რუხაძე

8 თებერვლიდან, ქვეყნის მართვის სადავეები მთავრობის განახლებულმა გუნდმა გადაიბარა. ირაკლი კობახიძემ მხოლოდ ერთი მინისტრი შეცვალა, თუმცა ეკონომიკური გუნდი უცვლელი დატოვა. ვიდრე პარლამენტში ახალ პრემიერსა და მის გუნდს კენჭს უყრიდნენ, აგრარულ საკითხთა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის, რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის, ასევე საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე, მთავრობის შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხზე იმსჯელეს. ამ სხდომაზე ირაკლი კობახიძის ახალი სამთავრობო პროგრამა – „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“ წარადგინეს.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტუქტურის, ასევე ფინანსთა მინისტრობის კანდიდატებმა, მათ მიერ მინისტრობის პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ ისაუბრეს და ხელახლა ნდობის გამოცხადების შემთხვევაში განსახორციელებელი სამომავლო გეგმები გააცნეს დეპუტატებს. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრობის კანდიდატმა, ლევან დავითაშვილმა საუბარი მთავარი ეკონომიკური მაჩვენებლებით დაიწყო.

მისი თქმით, საქართველოს აქვს მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდა რეგიონის, ევროპისა და ევროკავშირის წევრობის კანდიდატ ქვეყნებს შორის, რაც ადასტურებს, რომ ჩვენი ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკა სწორი და გამართლებულია. ლევან დავითაშვილმა ყურადღება გაამახვილა პროგრამებზე, რომლებიც წარმატებით ხორციელდება.

მისივე თქმით, 2024 წელს, დაგეგმილია აქტივებზე დაფუძნებული დაფინანსების პლატფორმის შექმნა, რაც კომპანიებს საშუალებას მისცემს, საკუთარი აქტივები დამატებითი სასესხო რესურსების მოსაზიდად გამოიყენონ. პარალელურად, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამები გაგრძელდება.

მინისტრობის კანდიდატმა დეტალურად ისაუბრა მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის, მეწარმეების ტრენინგებისა და მომზადების პროგრამებზე, გამოფენებში მონაწილეობისა და ახალ საექსპორტო ბაზრებზე შესვლის დაფინანსების შესაძლებლობაზე. მანვე ყურადღება გაამახვილა ევროკავშირთან საკანონმდებლო და ინსტიტუციური დაახლოების მიმართულებით გაწეულ საქმიანობაზე.

ლევან დავითაშვილმა ისაუბრა სამინისტროს კომპეტენციაში შემავალი ყველა მიმართულებით განხორციელებული და დაგეგმილი პროექტების შესახებ, როგორებიცაა ავიაცია, შავი ზღვის კაბელი, ტურიზმი, სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების ურბანული გეგმები.

„ყველა ეს რეფორმა, პროექტი თუ ღონისძიება არსებითად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდისთვის. თითოეული მოქალაქის ცხოვრების დონის გაუმჯობესება და თანაბარი შესაძლებლობების შექმნის უზრუნველყოფა ჩვენი უპირველესი მიზანია. ვფიქრობ, ჩვენი სახელისუფლო გუნდისთვის ეს მიღწევადი ამოცანაა. რაც მთავარია, ჩვენი საქმიანობის მთავარი კურსი და ორიენტირი კვლავაც საქართველოს ევროკავშირთან სწრაფი და ყოვლისმომცველი სავაჭრო-ეკონომიკური ინტეგრაცია იქნება“, – განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

ფინანსთა მინისტრობის კანდიდატმა, ლაშა ხუციშვილმა თავის მოხსენებაში ყურადღება გაამახვილა მთავრობის ხედვაზე ქვეყნის ფისკალური და ეკონომიკური პოლიტიკის, სწრაფი და მდგრადი ეკონომიკური ზრდის და ჯანსაღი საინვესტიციო გარემოს შექმნის მიმართულებით.

„ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მიღებიდან გამომდინარე, საშუალოვადიან პერიოდში მთავრობის მთავარი ამოცანა იქნება უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკის მომზადება ევროკავშირის წევრობისთვის. ამ ამოცანის შესასრულებლად, მთავრობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იქნება ქვეყნის სწრაფი ეკონომიკურიც ზრდისკენ, ევროკავშირთან ეკონომიკურ ურთიერთობების გაღრმავების, სიღარიბის შემცირებისა და ქვეყნის რეგიონალურ, ლოგისტიკურ და საინვესტიციო ჰაბად ჩამოყალიბების მიმართულებაზე“, – აღნიშნა ლაშა ხუციშვილმა.

მისი თქმით, ევროკავშირში სრულფასოვანი ინტეგრაციისთვის, გასულ წლებში, საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა სხვადასხვა მიმართულებით. ლაშა ხუციშვილის განცხადებით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) პროგნოზის მიხედვით, შემოსავლების დონე საქართველოში, მსყიდველობითი უნარის გათვალისწინებით, ერთ სულ მოსახლეზე 2024 წელს, ევროკავშირის მედიანური მაჩვენებლის 45%-მდე იქნება.

დასასრული მე-5 გვერდზე

განახლებული მთავრობის მთავარი ეკონომიკური მესიჯები

მე-4 გვერდიდან

მისივე განცხადებით, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბოლო მაკროეკონომიკური პარამეტრების ანალიზით, ევროკავშირის წევრ და კანდიდატ ქვეყნებს საქართველო მთელი რიგი მიმართულებით არ ჩამოუვარდება. მეტიც, მოწინავე პოზიციაზეა ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპით, ინფლაციის დაბალი მაჩვენებლით, მთავრობის ვალის, ბიუჯეტის დეფიციტის სიმცირის, პანდემიის შემდგომ მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების აღდგენის სისწრაფის მიხედვით.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრობის კანდიდატმა, ირაკლი ქარსელაძემ განაცხადა, რომ საქართველოსთვის, როგორც რეგიონული ჰაბისთვის, კრიტიკულად მნიშვნელოვანია საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარება.

მისი თქმით, ამ მიზნით, გაგრძელდება მაგისტრალური გზების მშენებლობა, მათ შორის, აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის, კახეთის მაგისტრალისა და სხვა მიმართულებით, რაც მნიშვნელოვნად უზრუნველჰყოფს მგზავრთა უსაფრთხო და კომფორტულ გადაადგილებას. ჯამურად, 2024 წელს, განხორციელდება არანაკლებ 400 კმ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.

როგორც მინისტრობის კანდიდატმა განაცხადა, გაგრძელდება საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის ახალი, ერთობლივი საბაჟო გამშვები პუნქტის მშენებლობასთან დაკავშირებით აქტიური მუშაობა. ეს გამშვები პუნქტი ხელს შეუწყობს ქვეყნების სატრანზიტო და ლოგისტიკური შესაძლებლობების განვითარებას და კიდევ უფრო გააძლიერებს რეგიონის სატრანსპორტო და სავაჭრო კავშირებს.

„საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია უწყვეტი, ხარისხიანი სასმელი წყლის 24-საათიანი მიწოდების რეჟიმით მოსახლეობის უზრუნველყოფა. ამ მიზნით, 2025 წლის ბოლოსთვის, მიმდინარე პროექტების დასრულების შედეგად, უწყვეტი წყალმომარაგებით უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს ყველა ქალაქი. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, 2024 წელს, სხვადასხვა ეტაპზე მყოფი პროექტები ოც ქალაქში განხორციელდება“, – განმარტა ირაკლი ქარსელაძემ.

მისივე თქმით, 2024 წელს, რეგიონული პოლიტიკის დაგეგმვა-განხორციელების პროცესში, ევროკავშირის კარგი პრაქტიკის გამოყენება კვლავ გაგრძელდება.

„მომდევნო წლების განმავლობაში, ყურადღება დაეთმობა მაღალმთიანი დასახლებების მდგრად განვითარებას. გაგრძელდება მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრებთა სოციალური მხარდაჭერა და სახელმწიფო სერვისების განვითარება. დაგეგმილია მთაში ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო პირობების შექმნა, გაუმჯობესება და მაღალმთიანი რეგიონების საჭიროებებზე მორგებული საბაზისო ინფრასტრუქტურის მოწყობა-განვითარება“, – დასძინა ქარსელაძემ.

კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრობის კანდიდატ ოთარ შამუგიას მოუსმინეს, რომელმაც სამინისტროს მიერ გაწეული საქმიანობის შედეგებსა და სამომავლო ხედვებზე ისაუბრა, როგორც აგრარული დარგის შემდგომი განვითარების, ასევე, გარემოსდაცვითი პოლიტიკის მიმართულებით.

„ჩვენი ხელისუფლების პრიორიტეტული მიმართულება სოფლის მეურნეობის განვითარებაზე ზრუნვა გახლდათ და წლებია, ვახორციელებთ არაერთ პროგრამას დარგის განვითარებისთვის, რის შედეგადაც გვაქვს ყოველწლიური სტაბილური ზრდა, როგორც აგრობიზნესის გამოშვების, ასევე, ექსპორტის მიმართულებით. წინასწარი მონაცემებით, ველოდებით, რომ 2023 წლის აგრობიზნესის გამოშვება, დაახლოებით, 16 მილიარდ ლარს გადააჭარბებს. რაც შეეხება ექსპორტს, 2023 წელს გვქონდა რეკორდული ექსპორტი – 1 მილიარდ 440 მილიონი დოლარის ფარგლებში, რაც 15%-იანი ზრდაა 2022 წელთან შეფარებით“, – აღნიშნა ოთარ შამუგიამ.

მისი თქმით, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ერთიანი პოლიტიკის ფარგლებში, გაგრძელდება ყველა მნიშვნელოვანი მიმდინარე პროგრამა. ასევე, დაიწყება პრიორიტეტული მიმართულებების მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება. კერძოდ, ფინანსურ ინსტრუმენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის, სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესების ხელშეწყობის მიზნით, ფიზიკური და იურიდიული პირების იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფა და სხვა პროგრამები.

მინისტრობის კანდიდატის განცხადებით, მიმდინარე წელს, სოფლის მეურნეობის სააგენტო სულ მცირე 15 პროგრამას განახორციელებს სხვადასხვა მიმართულებების მხარდასაჭერად. რაც შეეხება ქვეყანაში გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესებას, ოთარ შამუგიამ განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობა განაგრძობს რეფორმებს ამ მიმართულებით.

ამის შემდეგ, პარლამენტის გაერთიანებულლი კომიტეტების წევრებმა მხარი დაუჭირეს მთავრობის შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადებას და ახალ სამთავრობო პროგრამას – „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“.

ოპოზიციის „მეჩვიდმეტე გაელვება“

ნინო დოლიძე

30 წელზე მეტია, მთელი თუ არა, ნახევარი საქართველო იმაზე წუწუნებს, რომ ქვეყანაში ძლიერი ოპოზიცია არ არსებობს. სხვადასხვა დროს, ფრაგმენტულად, ოპოზიციას საკუთარი მისია შეუსრულებია, მაგრამ ამ „მისიის შესრულებას“ ხატოვნად, შესაძლოა, „გაზაფხულის მეჩვიდმეტე გაელვება“ ვუწოდოთ. ახლაც ჩვენი ოპოზიცია ამ პოზაშია და თავად ხელისუფლების მოწინააღმდეგებიც კი ხვდებიან, რომ კრიტიკული დღეები აქვთ. ზოგი იტყვის, რა კრიტიკული დღეები, ოპოზიცია გაერთიანებისთვის ემზადებაო, მაგრამ თქვენი გულისა, რომელ გაერთიანებაზეა ლაპარაკი, აი, ლელო და ე.წ. გახარიები ვენებს რომ იხსნიან, იქ, სადაც „ნაცები იქნებიან, ჩვენი ფეხი არ იქნებაო?

გაუგორა თუ არა მიხეილ სააკაშვილმა კოჭი სალომე ზურაბიშვილს

ახლა, სამართლიანობა მოითხოვს, ისიც ვთქვათ, რომ მთლად „მზიანი დღეები“ არც ყოფილ მმართველ პარტიას უდგას. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ამას წინათ, სატელევიზიო გამოსვლისას, ენმ-ს ყოფილმა თავმჯდომარემ ისეთები ილაპარაკა, ყურო, ნუ გაიგონებ ანუ ნიკანორ მელიამ დავით კეზერაშვილი ენმ-ს ოლიგარქად გამოაცხადა, თან კიდევ ერთხელ მიანიშნა „კეზერას“ კვალზე ე.წ. ქოლცენტრების საქმეში და თქვა, მოქმედ ხელისუფლებასა და „კეზერას“ შორის, ჩემთვის ტოლობის ნიშანი არსებობსო.

ამას გარდა, მელიამ ისიც განაცხადა, მე და მიხეილ სააკაშვილი ერთ პარტიაში აღარასოდეს ვიქნებითო. არადა, იყო დრო, როცა მელია მიშას ნდობით აღჭურვილი პირი იყო.

ჰო, მელიამ ისიც მიანიშნა, ყველას ველაპარაკები, მაგრამ გაერთიანებას ჯერ არც ნიკა გვარამიას ჯერარშექმნილ პარტიასთან ვგეგმავო. ესე იგი, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ მელია არჩევნებზე დამოუკიდებლად გავა, თან სხვათა შორის, ისიც თქვა, ათეულობითა და ასეულობით კი არა, ათასეულობით ადამიანი ჩემს დროს მივიდა ენმ-ში და მე ბრძოლას ამ ხალხთან ერთად ვაგრძელებო.

ერთი სიტყვით, თუ მელია არჩევნებზე დამოუკიდებლად გავა, ელექტორატს, ცხადია, ენმ-ს წართმევს - აბა, ხმას შალვა ნათელაშვილის მიმდევრები რომ არ მისცემენ, ეს პოლარული ღამესავით ნათელია.

სხვათა შორის, იაგო ხვიჩია კარგა ხანია, ავითარებს აზრს, რომ იგივე ნიკა გვარამიამ და ზურა ჯაფარიძემ, უპრიანი იქება, საარჩევნოდ ენმ-ს ქოლგას შეაფარონ თავი. ხვიჩიას ლოგიკაც ის არის, რომ ამ სამივე სუბიექტს ერთი ყაიდის ამომრჩევლი ჰყავს. შესაძლოა, ასეც არის, მაგრამ ხვიჩიას ავიწყდება, რომ მისი და ჯაფარიძის ამომრჩეველიც ზუსტად ერთია ანუ ის ხალხი, რომლებსაც ორივე გირჩის იდეები და პოლიტიკა მოსწონთ. ამდენად, ვერც ხვიჩია დაიტრაბახებს, რომ დამოუკიდებლად 5%-იან ბარიერს გადალახავს.

ამასობაში, საფრთხე, როგორც ჩანს, ყოფილმა პრეზიდენტმაც იგრძნო. ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე დღის წინ, მიხეილ სააკაშვილმა სასამართლო პროცესზე ჩართვისას, ბევრ რამესთან ერთად, ისიც თქვა, არჩევნების შედეგების დაცვის სკოლას ვქმნიო.

„ვაპირებ, სათავეში ჩავუდგე ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური აქტიურობის კომიტეტს, ასე ვთქვათ, ბორდს. ვიყო ამ ბორდის თავმჯდომარე, თუ ამას დაუჭერენ მხარს პარტიის რიგითი წევრები. ბორდში შემოვლენ პარტიის ლიდერები, ასევე, საზოგადო მოღვაწეები. მზად ვარ, ამ არჩევნებში ვიყო ჩვენი პოლიტიკური ბრძოლის წინა ხაზზე. აქ წყდება საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი, აქ წყდება საკითხი, საერთოდ გვექნება მომავალი, თუ ეს მომავალი უიმედოდ დაიკარგა...

მინდა, ყველამ იცოდეს, რომ ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ. მთავარია, ძალიან ბევრი ხალხი მოემზადოს არჩევნებზე მისასვლელად. ამათ უნდათ დაბალი გამოცხადება, რათა შეძლონ ბევრის ჩაყრა. როდესაც მთელი ტალღა, ცუნამი მოვა, ვერაფერს შეძლებენ.

ამათ ახლა უნდათ, ვითომ სიტუაციის ჩაცხრობა. ესენი რობოტებივით არიან, საჭიროა რუსეთთან დაწოლა, დაუწვებიან რუსეთს, საჭიროა ევროპის ლანძღვა, გალანძღავენ. რაც მთავარია, მათ არ უყვართ ქართველი ხალხი. არასტაბილურობას უნდა მოვუღოთ ბოლო. საქართველო უნდა იყოს თავისუფალი. თავისუფლება ყველაფერს დაალაგებს. საქართველო უნდა იყოს ოლიგარქის გავლენის გარეშე, მაშინ ყველაფერი დალაგდება. საქართველო უნდა იყოს ევროპაში და ჩვენ ყველანი მოვნახავთ საერთო ენას. წინ გვაქვს დიდი ბრძოლა. ძალიან განწყობილი ვარ ამ ბრძოლისთვის, როგორი ფიზიკური პრობლემებიც არ უნდა მქონდეს“, - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

უფრო ადრე კი სააკაშვილი გამოვიდა ინიციატივით, რომ ოპოზიციას პრეზიდენტობის საერთო კანდიდატი ჰყავდეს და ამ მხრივ, მინიშნება სალომე ზურაბიშვილზე გააკეთა.

„პრეზიდენტ ზურაბიშვილის გამოსვლასთან დაკავშირებით: ვეთანხმები, რომ არ არის ხელოვნური ფორმალური გაერთიანებების დრო, ამავე დროს, ჩამოსაყალიბებელია ერთობლივი პროევროპული ძალების საკოორდინაციო ფრონტი, თუნდაც არჩევნების გაყალბების წინააღმდეგ.

როგორც პირველ ნაბიჯს, მე ყველა დასავლურ ძალას ვთავაზობ, ჩამოვყალიბდეთ არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, ერთობლივ საპრეზიდენტო კანდიდატზე. მე დაახლოებით ვხვდები, თუ ვინ იკვეთება ასეთ კანდიდატად, მაგრამ ასევე სხვების აზრის გაგება მაინტერესებს.

ამავე დროს, სალომე ზურაბიშვილმა გაიმეორა ის, რასაც მე სულ ვამბობ: ოპოზიციურმა პარტიებმა უნდა შეწყვიტონ ერთმანეთის ლანძღვა და სამიზნე გაასწორონ ოლიგარქზე.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ხაზგასმით უარს ამბობს სხვა ოპოზიციური ჯგუფების კრიტიკაზე და, პრაქტიკულად, ყოველთვის უპასუხოდ ტოვებს მათ თავდასხმებს.

პრეზიდენტის დღევანდელმა გამოსვლამაც და საერთოდ იმ პოლიტიკურმა ატმოსფერომ, რომელიც შექმნილია, ნათლად დაადასტურა, რომ ოლიგარქის მმართველობას წყალი აქვს შეყენებული და ამ ისტორიულ არჩევნებზე, ჩვენ მას მიტაცებული საქართველო კლანჭებიდან აუცილებლად უნდა გავაგდებინოთ და ქართველი ხალხი სიღატაკისგან, უპერსპექტივობისგან და საბოლოო განადგურებისგან დავიხსნათ“, - დაწერა სააკაშვილმა სოციალურ ქსელში, 6 თებერვალს.

რაც შეეხება სალომე ზურაბიშვილის ინიციატივას, პარლამენტში წლიური ანგარიშისას, პრეზიდენტმა განაცხადა:

„გაფრთხილებთ ყველას, დაინახეთ და შეიგრძენით, რომ ქვეყანა და ჩვენი უაღრესად დაღლილი და ყველას მიმართ იმედგაცრუებული საზოგადოება ვეღარ იტანს გაუთავებელ სიძულვილს, ერთი მეორის გამომრიცხავ და გამანადგურებელ არჩევნებს, რევანშის ქადაგებას და განტევების ვაცის გაუთავებელ ძიებას...

ამიტომ, დღეს, ამ ტრიბუნიდან გთავაზობთ არსებული ჩიხიდან გამოსვლის ფორმულას და გზას, რათა არ გავუშვათ ხელიდან ეს უნიკალური შანსი. ქვეყანას სჭირდება ერთობა. საზოგადოებას აღარ სჯერა და აღარ სურს, იხილოს არაერთხელ უკვე გავლილი პარტიების გაერთიანების სქემები. ასევე, არ სჯერა ცალ-ცალკე, ტოტალურ გამარჯვებაზე გამოცხადებული პრეტენზიების. სჭირდება რეალური მიზანი და ამ ერთი მიზნის ირგვლივ ცოცხალი ძალების შეკრება და ენერგიის მობილიზება. მიზანი გაგვაჩნია - ევროპული მომავალი, ამისთვის მთავარ პრიორიტეტებზე შეჯერებაა საჭირო. ამის მიღწევა შესაძლებელია ერთობლივი პლატფორმის ჩამოყალიბებით. ეს არის ის, რასაც გთავაზობთ, შევქმნათ მომავლის ქარტია - „ერთობის პლატფორმა ევროპისთვის“. მე მზად ვარ, ამ პლატფორმის ჩამოყალიბებაში ჩემი პასუხისმგებლობა ავიღო და ჩემს ადმინისტრაციასთან დავაარსო საკოორდინაციო ცენტრი, რომელიც ევროპულ პრიორიტეტებზე ყველა კონკრეტულ შეთავაზებას მოუყრის თავს და დიალოგით და კონსენსუსის წესით, ხელს შეუწყობს ერთობლივი დოკუმენტის ჩამოყალიბებას.

ამ მიზნით, მომავალ დღეებში ვაპირებ, მოვიწვიო პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლები და სამოქალაქო საზოგადოების დაინტერესებული პირები. ეს მიდგომა ინკლუზიური უნდა იყოს და მზად ვარ, შევხვდე და მოვუსმინო ყველას. სხვა გამარჯვების ფორმულა არ არსებობს, რამეთუ წარსულიდან წამოსული დაქსაქსულობა და დაპირისპირება მხოლოდ სკეპტიციზმსა და უიმედობას გააღვივებს, რაც, პირველ რიგში, ქვეყანას ასუსტებს. გამარჯვების ფორმულაში არ იგულისხმება რომელიმე მხარის თუ პარტიის გამარჯვება, არამედ, ერთობის, ევროპულობის და ქვეყნის გამარჯვება. ისე, როგორც 15 დეკემბერს გაიმარჯვა მთლიანად საქართველომ, ასევე ახლაც, საქართველო უნდა გამოვიდეს გამარჯვებული, რეფორმების გატარებითა და სამართლიანი არჩევნების ჩატარებით. ეს სტაბილურობის, მშვიდობისა და წინსვლის ერთადერთი გარანტიაა“.

პრეზიდენტმა ცალკეულ ოპოზიციონერებთან შეხვედრა უკვე გამართა, თუმცა ზოგი, მაგალითად, ალეკო ელისაშვილი ამ ინიციატივას სკეპტიკურად უყურებს.

ასე და ამგვარად, არჩევნები ახლოვდება, ოპოზიცია კი, მინიმუმ, საარჩევნო სტრატეგიაზეც კი არ არის ჩამოყალიბებული.

პუტინის ახალი ზღაპრები მსოფლიოსთვის და კმაყოფილი რუსული პროპაგანდა

ნინო დოლიძე

ყველამ, ვინც პოლიტიკაში ოდნავ მაინც ერკვევა, გადასარევად იცის, რომ 2024 გადამწყვეტი და მნიშვნელოვანი წელი მხოლოდ საქართველოსთვის კი არა, არამედ, მთელი მსოფლიოსთვისაა ანუ წელს არჩევნები, საქართველოს პარალელურად, რუსეთში, აშშ-სა და სხვა ქვეყნებშიც ტარდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მალე მსოფლიოს პოლიტიკური რუკა თუ არ შეიცვლება, მინიმუმ, ღირებულებები გადაფასდება. იმაში ეჭვი არავის ეპარება, რომ წელს, კიდევ ერთი ვადით, პუტინი პრეზიდენტი უპირობოდ გახდება. შესაბამისად, ომი უკრაინასთან ისევ გაგრძელდება და არც ის არის გამორიცხული, რომ კრემლმა ცხელი წერტილები მსოფლიოს სხვა ადგილებშიც შექმნას. ისე, მხოლოდ ბრმები ვერ ხედავენ, თორემ საღად მოაზროვნეები ხვდებიან, რომ უკრაინის დაპყრობის ორწლიანი ეპოპეა პუტინისთვის პოლიტიკურ სიმსივნედ იქცა. დიახ, მითი და ილუზია, რომ ვლადიმერ ვლადიმერის ძე კიევს ორ, მაქსიმუმ, სამ დღეში აიღებდა, ორი წლის წინ გაცამტვერდა. ალბათ, თავად ოფიციალური მოსკოვიც კი არ ელოდა, რომ ზელენსკი და, ზოგადად, უკრაინელი ხალხი ბრძოლის ასეთ უნარს გამოავლენდა, მაგრამ პუტინმა, ალბათ, არ იცის, რომ არასოდეს არ უნდა თქვას „არასოდეს“.

ისე, კრემლის დიქტატორი, როგორც იტყვიან, ნირს არ იტეხს და ცდილობს, მსოფლიოს საკუთარ უძლეველობაზე ახალი ზღაპრები მოუყვეს. ეს კარგად გამოჩნდა „ფოქს ნიუსის“ ყოფილ წამყვანსა და რუსული პროპაგანდის ფავორიტ ტაკერ კარლსონთან ინტერვიუში, სადაც პუტინმა აშშ-ს ბრალი, პრაქტიკულად, ღიად დასდო და თქვა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ვაშინგტონი შეწყვეტს უკრაინისთვის სამხედრო დახმარების გაწევას, ომი რამდენიმე კვირაში დასრულდება.

ზოგადად, რუსული პროპაგანდა ამტკიცებს, რომ ეს იყო საუკუნის ინტერვიუ, რომელიც მსოფლიო ახალი ამბების მთავარ თემად იქცა. იმაზე, რომ რუსული პროპგანდა აქაც იტყუება, ცოტა ქვემოთ ვისაუბროთ, მანამდე კი ზემოხენებული დიალოგი, ასე ვთქვათ, განვიხილოთ.

დავიწყოთ იმით, რომ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ინტერვიუში ნახევარ საათზე მეტი დაუთმო რუსეთის, პოლონეთის, უკრაინისა და ლიეტუვის ისტორიაზე საუბარს. ეს მონოლოგი მეცხრე საუკუნიდან კომუნისტურ რევოლუციამდე იყო გაშლილი.

ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ ვაშინგტონმა რუსული ინტერესების ლეგიტიმურობა უნდა აღიაროს და უკრაინულ მხარეს მოლაპარაკებების მაგიდასთან დაჯდომა აიძულოს.

იმავდროულად, რუს პრეზიდენტს სჯერა, რომ გასული წლის მარტში, კრემლის მიერ დაკავებული ამერიკელი ჟურნალისტის, ევან გერშკოვიჩის გათავისუფლებასთან დაკავშირებით, ამერიკულ მხარესთან მოლაპარაკება შესაძლებელია.

ამასთან, ვლადიმერ პუტინმა აქამდე მის მიერ წარმოთქმული ბევრი დებულება გაიმეორა, მათ შორის, კრემლის გადმოსახედიდან, აღმოსავლეთ უკრაინაში რუსულად მოსაუბრე მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის ვალდებულება და უკრაინის ნატოში გაწევრიანებისთვის ხელის შეშლა.

ვლადიმერ პუტინმა გაიმეორა ასევე ცრუ ნარატივი კიევში ნეონაცისტების ხელისუფლების სათავეში ყოფნის შესახებ. რუსეთის პრეზიდენტმა დაამახინჯა უკრაინის ისტორიაც და მას სტალინის მიერ შექმნილი ხელოვნური წარმონაქმნი უწოდა.

აღსანიშნავია, რომ ტაკერ კარლსონი ვლადიმერ პუტინთან ინტერვიუს ჩაწერის გამო გააკრიტიკეს, თავად ჟურნალისტი კი აცხადებს, რომ არცერთ მის დასავლელ

> „არც ერთი სხვა ქვეყნის არც ერთ ლიდერს არ ელიან ისე მსოფლიოში, როგორც პუტინს“

კოლეგას შეუწუხებია თავი პუტინთან ინტერვიუს ჩაწერის მცდელობით.

კრემლში კი იმედი აქვთ, რომ მათ სასარგებლოდ ეს ინტერვიუ თავის წვლილს შეიტანს ამერიკული საზოგადოების მიერ, უკრაინისადმი სამხედრო დახმარების გაწევის ავკარგიანობასთან დაკავშირებით, აზრთა ფორმირებაში.

ვლადიმერ პუტინმა ხაზი გაუსვა ვოლოდიმირ ზელენსკის უარს მოლაპარაკებების წარმოების შესახებ. რუსი ლიდერის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ ვაშინგტონი შეწყვეტს უკრაინისთვის სამხედრო დახმარების გაწევას, ომი რამდენიმე კვირაში დასრულდება, კიევს კი ვლადიმერ პუტინი ვაშინგტონის სატელიტს უწოდებს.

„ჩვენ არასოდეს გვითქვამს უარი მოლაპარაკებების წარმოებაზე“, – აცხადებს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი.

ცნობისთვის: უკრაინელთა უმრავლესობა ომის გაგრძელების მომხრეა და მათი სურვილია, იხილონ უკრაინის ტერიტორიიდან რუსული ჯარების გასვლა, სწორედ ამ შედეგის მაჩვენებელია ორგანიზაცია „გალოპის“ მიერ ჩატარებული კვლევა, მაგრამ უცნობია, თუ როგორ შეიძლება ომის დასრულება, როდესაც რუსული მხარე აღმოსავლეთ და სამხრეთ უკრაინული მიწების მითვისებას ცდილობს. უკრაინელთა უმრავლესობა ამ გარიგების წინააღმდეგია.

ვლადიმერ პუტინი დასავლეთს აფრთხილებს, რომ რუსეთის ფედერაციას უკრაინაში სტრატეგიულ მარცხს ვერ მიაყენებ, იმავდროულად, კრემლში უარყოფენ, რომ მათ პოლონეთსა და ბალტიისპირეთზე თავდასხმა სურთ.

თეთრი სახლის ეროვნული უსაფრთხოების დეპარტამენტის პრესმდივანმა, ჯონ კირბიმ ვლადიმერ პუტინის ინტერვიუს შესახებ ისაუბრა და განაცხადა, რომ არ შეიძლება ვლადიმერ პუტინის არცერთი სიტყვის დაჯერება.

შეგახსენებთ: 2022 წლის 24 თებერვლის შემდეგ, ვლადიმერ პუტინს დასავლურ მედიასთან ძალიან შეზღუდული კავშირი აქვს, ამავდროულად, რუსეთის ფედერაციის ხელისუფლება დამოუკიდებელ მედიაზე ზეწოლას განაგრძობს, ქვეყანაში ოპოზიციური მედია აღარ არსებობს, უცხოელი ჟურნალისტები კი რუსეთს ტოვებენ.

ამერიკული მედიასაშუალებების ორი ჟურნალისტი – ევან გერშეკოვიჩი და ალსუ კურმაშევა რუსულ საპატიმროში იმყოფებიან.

ტაკერ კარლსონმა ვლადიმერ პუტინს ევან გერშეკოვიჩის გათავისუფლების შესახებ ჰკითხა. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის თქმით, მოსკოვი მზად არის ამ საკითხთან დაკავშირებით მოლაპარაკებებისთვის, მაგრამ მან გაიმეორა, რომ ეს ჟურნალისტი ჯაშუშობის ბრალდებით არის დაკავებული, თავად ბრალდებული ამას უარყოფს.

„ის დაიჭირეს სწორედ მაშინ, როდესაც ის საიდუმლო ინფორმაციას იპარავდა“, – განაცხადა ვლადიმერ პუტინმა, მაგრამ არ გამორიცხავს, რომ ამერიკელი ჟურნალისტი, შესაძლოა, სახლში მალე დაბრუნდეს.

„ეს საკითხი ტაბუდადებული არ გახლავთ, – აცხადებს ვლადიმერ პუტინი, – ჩვენ მზად ვართ ამ საკითხის გადაჭრისთვის, მაგრამ ეს შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებმა უნდა განიხილონ, მჯერა, რომ შეთანხმება შესაძლებელია“.

ვლადიმერ პუტინმა, ასევე, ისაუბრა ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირე სახელმწიფოს მიერ, ბოროტმოქმედის ლიკვიდაციის მიზეზით დაკავებულ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეზე. საუბარი საქართველოს მოქალაქე ზელიმხან ხანგოშვილს ეხება, რომელიც ბერლინში, 2019 წელს, რუსეთის ფედერაციის უშიშროების სამსახურის აგენტმა მოკლა. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სასამართლომ დაადგინა, რომ რუსეთის ფედერაციის მოქალაქე მისი სახელმწიფოს მმართველი ორგანოების პირდაპირი მითითებით მოქმედებდა.

* * *

რაც შეეხება ინტერვიუს მომზადებასა და შეფასებებს, ამ ორსაათიანი ინტერვიუსთვის ჟურნალისტი რუსეთში სპეციალურად ჩაფრინდა და კარლსონმა, პრაქტიკულად, ერთი მძაფრი კითხვაც არ დაუსვა პუტინს, თუმცა ამას დაპირებული იყო.

რუსული პროპაგანდა დაჟინებით ადევნებდა თვალ-ყურს ტაკერ კარლსონის გადაადგილებას რუსეთის ტერიტორიაზე. სახელმწიფო მედია ასევე აქტიურად ავრცელებდა თავად პუტინის ინტერვიუს. პრეზიდენტის საუბარი ჟურნალისტთან სულ მცირე სამჯერ გამოქვეყნდა სხვადასხვა ფორმით: ჯერ, უბრალოდ, ციტირებდნენ პუტინის განცხადებებს, შემდეგ მედიამ მკითხველს შეატყობინა, რომ კრემლის ვებ-საიტზე გამოჩნდა ინტერვიუს სრული ჩანაწერი და ბოლოს, გამოაქვეყნეს სრული, ორსაათიანი საუბრის რუსული ვერსია.

9 თებერვალს, დილით, სააგენტო TASS-მა ინტერვიუს ჩანაწერის პირდაპირი ტრანსლაციაც კი დაიწყო. ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ, კრემლის მომხრე ტელეგრამ-არხმა MASH-მა მას „მსოფლიოს მთავარი მოვლენა“ უწოდა.

რუსული პროპაგანდის მნიშვნელოვან თემად იქცა პუტინთან ინტერვიუს „ნახვების რაოდენობაც“. პირველივე წუთებიდან, სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოები აკვირდებოდნენ სოციალურ ქსელ X-ზე ნახვების რაოდენობის მაჩვენებელს. ამრიგად, ტაკერის პოსტი – პუტინთან ინტერვიუ – სოციალურ ქსელ X-ზე 86.6 მილიონჯერ იყო ნანახი მაშინ, როცა Youtube-მა გამოქვეყნებიდან 11 საათში მხოლოდ 4.3 მილიონი ნახვა მიიღო, თუმცა ამ შემთხვევაში, ინტერვიუს ნახვების რაოდენობაზე საუბარი არაკორექტულია. ამაზე ადრე არაერთხელ გაამახვილა ყურადღება მედია-ექსპერტმა, ალექსანდრე ამზინმა. სინამდვილეში, X-ში პოსტის ნახვების რაოდენობა არ ნიშნავს ვიდეოს ნახვების და არც თავად პოსტის წაკითხვის რაოდენობას.

რუსული მედიისთვის ასევე მნიშვნელოვანი იყო იმის აღნიშვნა, რომ ინტერვიუ საინტერესო იყო, როგორც მაყურებლისთვის, ასევე, უცხოელი ჟურნალისტებისთვის. ამრიგად, პროპაგანდამ მიაქცია ყურადღება, რომ პუტინის თემა იქცა აქტუალურ საკითხად სოციალური ქსელ X-ში (ამ მასალის გამოქვეყნების მომენტში, სოციალურ ქსელში დათვლილია თითქმის მილიონნახევარი პოსტი, სადაც ნახსენებია რუსეთის პრეზიდენტი – „მედუზას“ ცნობა). გარდა ამისა, სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოებმა ყურადღება გაამახვილეს X-ის

დასასრული მე-8 გვერდზე

პუტინის ახალი ზღაპრები მსოფლიოსთვის და კმაყოფილი რუსული პროპაგანდა

მე-7 გვერდიდან

დამფუძნებლის, ილონ მასკის პუბლიკაციაზე, რომელმაც გაიზიარა ინტერვიუ საკუთარ გვერდზე და დაწერა, რომ უყურებს პუტინთან ინტერვიუს.

თავად ტაკერ კარლსონმა განაცხადა, რომ ინტერვიუს ჩასაწერად კრემლში ხუთი საათი გაატარა, ხოლო რუსეთის პრეზიდენტმა შეხვედრაზე ორი საათით დააგვიანა. საუბრის შემდეგ, ტელეწამყვანმა პუტინს ჭკვიანი ადამიანი უწოდა და თქვა, რომ დასავლეთის მიერ რუსეთის უარყოფამ რუსეთის პრეზიდენტს **„ძლიერ ატკინა გული. ამის გამო, მას უელავდა თვალები“,** – განაცხადა კარლსონმა. ჟურნალისტის თქმით, რუსეთი არ არის დაკავებული ექსპანსიით, რადგან ის უკვე „ასე უზარმაზარია“ და „იდეოლოგიურ მატყუარებს, რომლებიც სახელმწიფო დეპარტამენტს მართავენ“, უნდათ ჰიტლერის გამოყვანა პუტინისგან.

კარლსონმა დასძინა, რომ უკრაინასთან სამშვიდობო შეთანხმების გამო, რუსეთი არ დათმობს ყირიმს.

„შეიძლება, არ მოგეწონოთ ეს ფაქტი, მაგრამ პუტინი დაიწყებს ბირთვულ ომს, რათა არ დათმოს ყირიმი. სწორედ ყირიმი იყო ომის დაწყების მიზეზი 2022 წლის თებერვალში“, – განაცხადა წამყვანმა.

„რუსეთის პრეზიდენტმა დასავლურ სამყაროს მაქსიმალურად დეტალურად აუხსნა, რატომ არ არსებობდა არანაირი უკრაინა, არ არსებობს და არც იარსებებს. ტაკერ კარლსონს არ შეეშინდა და არც დაიბნა“, – განაცხადა უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და რუსეთის ფედერაციის ყოფილმა პრეზიდენტმა, დიმიტრი მედვედევმა.

ომის მომხრე ერთ-ერთმა მთავარმა ტელეგრამ-არხმა „Рыбарь“ თქვა, რომ პუტინის ინტერვიუს ამერიკელ ტელეწამყვანთან „ბომბის აფეთქების ეფექტი ჰქონდა“. არხის ავტორებს მიაჩნიათ, რომ ინტერვიუ წინასწარ იყო დაგეგმილ-ორგანიზებული და აღნიშნავენ „მრავალმხრივ და შეფარულ მინიშნებებსა და მითითებებს“.

ORT-ის მთავარი რედაქტორი და პროპაგანდისტი მარგარიტა სიმონიანი, თავის მხრივ, ჩიოდა, რომ კარლსონი არ ესაუბრებოდა პუტინს კონსერვატიულ ღირებულებებზე: „ეს არის მისი ძლიერი მხარე. ეს არის ერთადერთი, რაზეც რუსეთს შეუძლია და ახლაც უნდა ააშენოს საგარეო იდეოლოგია“.

„ამბობენ, რომ დღეს, ბევრ სკოლაში, გაკვეთილების ნაცვლად, ყველა უყურებს ინტერვიუს რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან ისევე, როგორც მთელი მსოფლიო. არც ერთი სხვა ქვეყნის არც ერთ ლიდერს არ ელიან ისე მსოფლიოში, როგორც ჩვენსას. მე ვამაყობ“, – წერს უსაფრთხო ინტერნეტ ლიგის ხელმძღვანელი, ეკატერინა მიზულინა.

რა გამოხმაურება მოჰყვა პუტინის ინტერვიუს დასავლურ მედიაში

მიუხედავად იმისა, რომ რუსული მედია აქტიურად ციტირებს ფრაგმენტებს დასავლელი კოლეგების პუბლიკაციებიდან, არც ერთ წამყვან უცხოურ მედიაში პუტინის საუბარი კარლსონთან არ გახდა მთავარი სიახლე. ამერიკული და ევროპული გამოცემების უმეტესობა ყურადღებას ამახვილებდა პუტინის განცხადებებზე The Wall Street Journal-ის ჟურნალისტ ევან გერშკოვიჩის შესახებ, რომელიც რუსეთში დააკავეს. კერძოდ, ამის შესახებ თავად Wall Street Journal, The New York Times, Pollitico, CNN, BBC, Associated Presss და Financial Times წერდნენ.

სხვა განცხადებები, რამაც დასავლური პრესა დააინტერესა, იყო ის, რომ რუსეთი ბოლომდე იბრძვის თავისი ინტერესებისთვის, მაგრამ არ არის დაინტერესებული კონფლიქტის გაფართოებით პოლონეთისა და ლატვიის ტერიტორიაზე (Reuters, Spigel და Le Monde). მედია ასევე ციტირებდა პუტინის სიტყვებს უკრაინისთვის დასავლური იარაღის მიწოდების შესახებ (Bloomberg, The Guardian და The Washington Post).

Wall Street Journal-ი წერს, რომ კარლსონმა პუტინთან ინტერვიუ გამოაქვეყნა „გარდამტეხ მომენტში“. გამოცემა იხსენებს, რომ მილიარდობით დოლარის დახმარება, უკრაინის შიდაპოლიტიკური უთანხმოების გამო, აშშ-ის კონგრესში შეფერხდა, ხოლო რუსული ჯარები ბრძოლის ველზე წინ მიიწევენ, უკრაინის შეიარაღებული ძალები კი საბრძოლო მასალისა და იარაღის მწვავე დეფიციტს განიცდიან.

„ინტერვიუმ პუტინს საშუალება მისცა, გაეძლიერებინა თავისი ავტორიტეტი ქვეყნის შიგნით და ეჩვენებინა, რომ მას ჯერ კიდევ შეუძლია თავისი პირობები წაუყენოს დასავლეთს, საპრეზიდენტო არჩევნებამდე სულ რაღაც ერთი თვით ადრე, რომელიც, როგორც მოსალოდნელია, მას ხელისუფლებაში ექვსი წლით დარჩენის შესაძლებლობას მისცემს“, – წერს გაზეთი.

კარლსონმა პუტინს საშუალება მისცა, განევრცო წარმოდგენა რუსეთზე, როგორც ტრადიციული ღირებულებების დამცველზე – წერს The New York Times. გაზეთი ასევე მიიჩნევს, რომ პუტინის მოწოდებები შეერთებულi შტატებისადმი, დადებულ იქნას სამშვიდობო შეთანხმება უკრაინასთან დაკავშირებით, არის რუსეთის პრეზიდენტის მცდელობა, პირდაპირ მიმართოს ამერიკელ კონსერვატორებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან უკრაინის მხარდაჭერის გაგრძელებას.

აშშ-ის ეროვნული უშიშროების საბჭოს წარმომადგენლის, ჯონ კირბის შეფასებით, პუტინის ინტერვიუმ კარლსონთან, ნაკლებსავარაუდოა, შეცვალოს ამერეკილების აზრი უკრაინაში მიმდინარე ომთან დაკავშირებით.

პუტინი სრულად იყო დიალოგის წარმმართველი, მის თანამოსაუბრეს კი ინტერვიუს უმეტესი დროის განმავლობაში, სიტყვა არ უთქვამს, – წერს BBC. გერმანული „შპიგელი“ აღნიშნავს, რომ პუტინის ინტერვიუ კარლსონთან არის „პირველი დეტალური საუბარი“ რუსეთის პრეზიდენტსა და ამერიკელ ჟურნალისტს შორის, უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის დაწყების შემდეგ.

„იმის ნაცვლად, რომ პუტინზე ზეწოლა მოეხდინა ბევრ საკითხზე, მათ შორის, რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო დანაშაულების სარწმუნო ბრალდებებსა და ოპოზიციის ლიდერის ალექსეი ნავალნის დაპატიმრებაზე, კარლსონმა ავტოკრატს მისცა პლატფორმა, რათა მოეხდინა საზოგადოების მანიპულირება და ისტორიის საკუთარი ვერსიის წარმოჩენა“, – აღნიშნა CNN-მა. ბრიტანულმა The Guardian-მა პუტინთან ინტერვიუს კარლსონისთვის „სირცხვილის ახალი დონე“ უწოდა.

გამომცემლობა „შემაფორ“-ი ირწმუნება, რომ ინტერვიუს გარდა, კარლსონი მოსკოვში შეხვდა რუსეთში დევნილობაში მყოფ ორ ამერიკელს – ედვარდ სნოუდენს, რომელსაც ბრალად ედება აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს სათვალთვალო პროგრამების შესახებ მონაცემების გადაცემა და ტარა რიდის, რომელიც ჯო ბაიდენს შევიწროებაში ადანაშაულებს. თავად კარლსონი უარყოფს მსგავსი შეხვედრებს.

პესკოვი კმაყოფილია...

კრემლის წარმომადგენელმა, დიმიტრი პესკოვმა დასავლეთის რეაქციაზე რუსეთის პრეზიდენტთან ინტერვიუზე თქვა, რომ დასავლეთი ძალიან ყურადღებით შეისწავლის და გააანალიზებს პუტინის საუბარს კარლსონთან:

„იქ (აშშ-ში) ერთგვარი პროფესიული უხალისობაა, გამოაქვეყნო კარლსონის ინტერვიუ. იქ არის განხეთქილება პოლიტიკური შეხედულებების კუთხით და ძალიან სერიოზული კორპორატიული განხეთქილება მედიაში. ისინი მკაცრად არიან გაყოფილი პარტიის მხარდაჭერის კრიტერიუმების მიხედვით, ერთი ორიდან. ამიტომ, რა თქმა უნდა, არის გარკვეული პროფესიული ეჭვიანობა, მაგრამ დროთა განმავლობაში, ამ ინტერვიუს ღრმა ანალიზი მოჰყვება“, – თქვა მან.

პესკოვი ასევე, ირწმუნება, რომ კარლსონს წინასწარ არ შეუთანხმებია შეკითხვები კრემლთან და ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ, პრეზიდენტის ადმინისტრაციამ მიიღო „რამდენიმე ათეული მოთხოვნა“ პუტინთან ინტერვიუსთვის მსოფლიოს სხვადასვა მსხვილი ქვეყნების მედიასაშუალებებისგან.

„ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ყოველთვის ჩვენი ხალხის რეაქციაა“, – განაცხადა პესკოვმა.

„ყველაზე ღირებული და ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ რაც შეიძლება მეტ ადამიანს გაუჩნდეს სურვილი, წაიკითხოს ეს ინტერვიუ“, – თქვა პესკოვმა.

უზუსტობები ინტერვიუში

რუსულმა დამოუკიდებელმა მედიამ ყურადღება გაამახვილა პუტინის ინტერვიუში არსებულ შეცდომებსა და უზუსტობებზე, ასევე იმაზე, თუ როგორ აშუქებდა პროპაგანდა ამ მოვლენას. კერძოდ, როგორც „დოჟდი“ წერს, პუტინმა თქვა, რომ ვლადიმერ ზელენსკის მამა „ფაშისტებს ებრძოდა“. სინამდვილეში კი, ალექსანდრე ზელენსკი დაიბადა 1947 წელს, მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან ორი წლის შემდეგ. პუტინს, ალბათ, უნდოდა ეხსენებინა ზელენსკის ბაბუა, რომელიც ნამდვილად იბრძოდა ჰიტლერის წინაღმდეგ.

სამართალი

№1 14 თებერვალი 2024 წ

ვინ გაუვრცელა ლექტორს პირადი ცხოვრების კადრები

როგორ აღმოაჩინეს ძალოვანებმა დამნაშავე სტუდენტი გოგონა

ბათო ჯაფარიძე

ტექნოლოგიური განვითარება ძალიან შორს წავიდა და ახლა არ არის აუცილებელი, სახლში ვიდეოკამერა ან ფოტოაპარატი გქონდეს, ამისთვის საკმარისია ტელეფონი, რომლითაც ფოტოებსაც იღებ და ვიდეოსაც. მართალია, როგორც ერთი, ისე მეორე, პროფესიონალის გადაღებული სულ სხვაა, მაგრამ როგორც ბევრ სხვა რამეს, უხარისხო ფოტოებსა თუ ვიდეოებს სოციალურ ქსელებში უკვე მივეჩვიეთ. იმავე სოციალრ ქსელში დახურული ჯგუფებიც არის, სადაც საერთო ინტერესების მქონე ადამიანები ურთიერთობენ, ან უბრალოდ, ეს ჯგუფი მოქმედი თუ ყოფილი თანაჯგუფელების, თანაკურსელების, ან სულაც თანაკლასელებისთვისაა განკუთვნილი. დახურულ ჯგუფებში მოხვედრა, წესითა და რიგით, მკაცრად უნდა კონტროლდებოდეს. აბა, სხვა კლასელებთან რა გინდა, რით უნდა გაერთო? ან რატომ უნდა წაიკითხო, რაზე და როგორ ჭორაობენ ისინი... ჰო, სწორედ რომ ჭორაობენ, რადგან ხშირად, ეს უბოროტო ურთიერთობაა, ძველი ამბების გახსენებითა და მუდმივად იმის წუწუნით, რომ ბოლო დროს ველარ ახერხებენ შეკრებას, რომ დრო მიდის, რომ ბერდებიან...

„მიშველეთ, შვილი გადამირჩინეთ. ის თავის მოკვლას ცდილობდა, ფანჯრის რაფაზე იყო ასული, რომ ჩამოვხსენი. გემუდარებით, რამე მირჩიეთ და ის ნაძირალაც დასაჯეთ, ვის გამოც ჩემი გოგონა თავს იკლავდა“, – პოლიციის განყოფილებაში მისული ქალი ბოლო ხმაზე მოთქვამდა.

როგორც გაირკვა, მისი შვილი ფილოლოგიის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი იყო, მათ კურსზეც არსებობდა დახურული ჯგუფი სოციალურ ქსელში და სწორედ იმ ჯგუფში დაიდო ვიდეო, სადაც გოგონას ინტიმური ურთიერთობის დეტალები იყო აღწერილი თანაკურსელთან. ფილოლოგიის ფაკულტეტზე ბიჭის არსებობა უკვე სასწაული გახლდათ და რა გასაკვირია, მასზე დიდი მოთხოვნა რომ იყო. თანაც, ბიჭიც არის და ბიჭიც, ეს ახალგაზრდა ჟურნალის ყდიდან გადმოსული მოდელი გეგონებოდათ, ოჯახიც შეძლებული ჰყავდა, ცალკე ბინა, ავტომობილი, კარგი ტანსაცმელი და ისიც უარზე არ იყო, ერთი ღამე ერთთან გაეტარებინა, მეორე – მეორესთან. აი, ვიდეოს გამოფენა სოციალურ ქსელში, ნამდვილი კატასტროფა იყო თანაკურსელებისთვის, მით უმეტეს, რომ გოგონა, რომელმაც თავის მოკვლა სცადა, საუცხოოდ ხასიათდებოდა და არავინ ელოდა, რომ ბიჭთან ურთიერთობა მასაც ექნებოდა.

რა თქმა უნდა, სამართალდამცავებმა პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელების გამო, სისხლის სამართლის საქმე აღძრეს და მთავარი ეჭვმიტანილი, ბიჭი დააკავეს. მან გაოცებისგან პირი დააღო, მე რა შუაში ვარ, როცა ვიდეო ვნახე, გამოკვირდა და ის უფრო გამიკვირდა, ყველაფერი ეს, ჩემს ბინაში რომ იყო გადაღებული, მე კამერა არსად მიყენია, მერე კი ვეძებე, მაგრამ ვერაფერი ვიპოვეო. სამართალდამცავებმა დაკავებულს არ დაუჯერეს, წინასწარი მოთავსების იზოლატორში გამოკეტეს და ბრალის წარსადგენად მოემზადნენ, რათა 48 საათში, სასამართლოს წინაშე, მისი წინასწარი, ორთვიანი პატიმრობა მოეთხოვათ. ყველაფერი მალევე შეიცვალა, რადგან იმავე დახურულ ჯგუფში, მორიგი ვიდეო გამოჩნდა, ამჯერად სხვა გოგოსთან, თუმცა ისევ იმ რაკურსით და ისევ იმ ფონზე გადაღებული. წინასწარი დაკავების იზოლატორში მყოფი ბიჭი ვიდეოს ვერ ატვირთავდა. გამოდიოდა, მას ან თანამზრახველი ჰყავდა, ან ვიდეოს მართლაც ვიღაც სხვა დებდა. სოციალურ ქსელში კონკრეტულ ჯგუფს, შსს-ს საუკეთესო IT-სპეციალისტები ჩაუჯდნენ.

„კურსზე არავის ახსოვს, ვინ შექმნა ეს ჯგუფი, ან ვინ არის მისი ადმინისტრატორი. უბრალოდ, მასში ყველა გაერთიანდა და ჯგუფი ძალიან კარგად კონტროლდება. მეტიც, ის ისეთ დონეზეა გაკეთებული, რომ გატეხვა, ჯერჯერობით, ვერ მოვახერხეთ. ეს ძალიან ძლიერი ჰაკერის ნამუშევარია. სწორედ რომ ჰაკერის და არა რომელიმე მოყვარულის“, – უთხრა IT-განყოფილების ხელმძღვანელმა გამომძიებელს და ხელები უიმედოდ გაშალა, ჩემები მაქსიმუმს აკეთებენ, მაგრამ ჯერჯერობით შედეგი ნულია, წარმოდგენა არ გვაქვს, საიდან და ვინ დებს ვიდეოებსო. საქმის გამომძიებლისთვის ერთი რამ ცხადი იყო – დაკავებული და მთავარი ეჭვმიტანილი, კოპიუტერებში კარგად აშკარად ვერ ერკვეოდა. სხვა თუ არაფერი, მაშინ, როცა დააკავეს, სახლის კომპიუტერი „ვინდოუსის“ გადასაყენებლად ხელოსანთან ჰქონდა დატოვებული და მისი ამოღება სწორედ იქიდან მოხერხდა.

სანამ გამომძიებლები ცდილობდნენ, სიტუაციაში გარკვეულიყვნენ და ჯგუფის შემქმნელისა და ვიდეოების ამტვირთავის ვინაობა გაერკვიათ, „ჩატში“ მესამე ვიდეო გამოჩნდა, სადაც უკვე დაკავებული ბიჭი... ერთ-ერთ ლექტორთან იყო ლოგინში. ეს დანამდვილებით ნიშნავდა, რომ მთავარი ეჭვმიტანილი ვიდეოების ატვირთვასთან კავშირში არ იყო და ის წინასწარი დაკავების იზოლატორიდან გაათავისუფლეს, თუმცა სულ ტყუილად – ციხის კარებს ასი მეტრითაც კი არ იყო ბიჭი დაშორებული, რომ იმ ლექტორის შვილი დაესხა თავს და სანამ სამართალდამცავები მიირბენდნენ, გვარიანადაც სცემა. თავად ლექტორმა, გამოკითხვის დროს, დარცხვენილმა, მაგრამ მტკიცედ თქვა, მე ქმარი არ მყავს, თავისუფალი ქალი ვარ, ბიჭიც სრულწლოვანია და შესაბამისად, აქ კრიმინალს ვერ ვხედავო. რაც შეეხება მორალურ მხარეს, ლექტორმა თავი დაიქნია, მართალი ხართ, მაგრამ მე ხომ არ ვიცოდი, რომ ვიღაც იდიოტი ამ ყველაფერს გადაიღებდა და შემდეგ სოციალურ ქსელში ატვირთავდაო. შსს-ს სპეციალისტები ისევ ვერაფერს ახერხებდნენ და ბიჭი, ვინც ყველა ვიდეოში იყო და ვის სახლშიც გახლდათ ვიდეოები გადაღებული, ისევ გამოკითხვაზე დაიბარეს და დაავალეს, ყველა იმ გოგოსა თუ ქალის სახელის ჩამოწერა, ვინც მას ბინაში „იმ საქმისთვის“ ჰყავდა აყვანილი. ბიჭმა 14 სახელი დაწერა, აქედან ერთი ლექტორი იყო, დანარჩენები – სტუდენტები. ახლა, მხოლოდ ის გახლდათ გასარკვევი, ამ სტუდენტი გოგონებიდან, რომელს ჰქონდა კომპიუტერებთან ისეთი შეხება, რომ შსს-ს IT-სპეციალისტებიც კი პირღია დატოვა. სამი მაშინვე გამოირიცხა, ორი გოგო და ლექტორი, ისინი საკუთარ ვიდეოს ხომ არ ატვირთავდნენ ყველას დასანახად, თუ განსასჯელად.

გამომძიებლებმა ბევრი იმუშავეს, მაგრამ წინ ერთი ნაბიჯითაც ვერ წავიდნენ. არცერთი არ იყო ისეთი, კომპიუტერის ცოდნით თავი რომ გასკდომოდა და ასეთი დონის ცოდნა ჰქონოდა. დამღლელი მუშაობის შემდეგ, ერთ-ერთმა მაძებარმა ვერსია წამოაყენა – ეგებ, ვიდეოები სწორედ იმ სამიდან ერთ-ერთმა ატვირთა, თავიდანვე რომ გამოვრიცხეთ და ამით, ისეთი ალიბი შეიქმნა, ჩვენც რომ მარტივად წამოვეგეთო. დაიწყო დაზარალებულების შემოწმება. ლექტორი მალევე გამოირიცხა, გამოირიცხა ის გოგოც, რომელიც თავს იკლავდა და დარჩა მესამე, რომლის ვიდეოც, შეიძლება ითქვას, ყველაზე გულახდილი იყო. სწორედ მისი პერსონის შესწავლის დროს გაირკვა, რომ გოგონა კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სკოლაში დადიოდა, ძალიან კარგად ერკვეოდა ციფრებში, ბავშვობიდან იტაცებდა კომპიუტერთან მუშაობა და ორი კომპიუტერული პროგრამაც კი ჰქონდა შექმნილი. აი, რატომ ჩააბარა ფილოლოგიურზე, ვერავინ ხვდებოდა. ეჭვმიტანილი გამოიკვეთა, მაგრამ მის წინააღმდეგ სამხილი არ არსებობდა. რაც მთავარია, IT-სპეციალისტები ამბობდნენ, შესაძლოა, შინ არსებული კომპიუტერი გოგონას ისე ჰქონოდა დაპროგრამებული, რომ ნებისმიერ არასწორ მოქმედებას შეეძლო, მთელი მეხსიერება წაეშალა და გაენულებინა. ამიტომ, საჭირო იყო ისეთი რამეს მოფიქრება, რაზეც გოგო აუცილებლად წამოეგებოდა.

ბევრი ფიქრის შემდეგ, ძალიან მარტივი ხრიკის გამოყენება გადაწყდა. ერთ-ერთი ლექციის დროს, ლექტორს (რომელიც წინასწარ იყო გაფრთხილებული), დაურეკეს, მან ტელეფონით ისაუბრა და შემდეგ ხმამაღლა გამოაცხადა – აუდიტორიიდან არავინ გავიდეს, სამართალდამცავები მოდიან, დამნაშავე უნდა დააკავონ, მტკიცებულებები აქვთო. ჰოდა, ლექტორის ეს განცხადება პირველმა სწორედ ეჭვმიტანილმა გააპროტესტა და აუდიტორია დემონსტრაციულად დატოვა, იქიდან გამოსულმა კი ფეხი აუჩქარა და ეზოში გავარდა, სადაც ტაქსი გააჩერა და სახლისკენ მოკურცხლა. ტაქსის საჭესთან პოლიციის თანამშრომელი იჯდა და გოგონას ჯერ ადროვეს შინ შესვლა, კომპიუტერის ჩართვა და სწორედ მაშინ შევარდნენ, როცა ფაილების წაშლას ცდილობდა. საქმე უკვე გახსნილი იყო, მაგრამ... მიზეზი, რის გამოც გოგონა ვიდეოებს იღებდა და ტვირთავდა, უცნობი გახლდათ. ამიტომ, მისი მოსმენა ყველას აინტერესებდა.

„არაფერი განსაკუთრებული არ ხდება. ის ბიჭი მიყვარდა, თითქოს მასაც მოვწონდი, ყოველ შემთხვევაში, მეუბნებოდა. მერე და მერე, ყველას რომ დაერია, მივხვდი, რიგითი გასართობი ვიყავი. გოგონებს ვუთხარი, ყველამ დავაიგნოროთ-მეთქი, მაგრამ არ დამიჯერეს, ამიტომ ბედს შევეგუე და თუ ახალი საკბილო არ ჰყავდა, ბინაში მე მივყვებოდი. იქ დავამონტაჟე ვიდეოთვალი და ხომ წარმოგიდგენიათ, რა დამემართებოდა, როცა ჩემს დაგებულ მახეში ლექტორიც გაება. მერე დავიწყე ვიდეოების გავრცელება იმ იმედით, რომ ამ დონ ჟუანს ვინმე სასტიკად გაუსწორდებოდა, მაგრამ სანაცვლოდ რა მივიღე? ერთმა თავის მოკვლა სცადა, მეორე სასწავლებლიდან მიდის... ჩემი ვიდეოც იმიტომ ავტვირთე, რომ ეჭვი არ გაგჩენოდათ და მგონი, გავარტყი კიდეც, მაგრამ სისულელეზე ჩავვარდი“, – განაცხადა გოგონამ.

როგორც ამბობენ, დაკავებულს პირობითი სასჯელი და ძალოვან უწყებაში „კონსულტანტის“ შტატი შესთავაზეს. ყოველ შემთხვევაში, ფილოლოგიიის ფაკულტეტზე, იმ ინსტიტუტში, გოგონა აღარავის უნახავს.

ტყუპის დედამ ცნობილი ადვოკატის მოკვლა სცადა

„მოკვლა იმიტომ მინდოდა, რომ“... – დამნაშავე ქალის ჩვენება

ბათო ჯაფარიძე

ერთ-ერთი პროფესია, რომელიც რთულია, სიცოცხლისთვის საშიშია და კმაყოფილი ხალხიც იშვიათად გყავს, ადვოკატობაა. თავად განსაჯეთ, ადვოკატი იძულებულია, დაიცვას ყველა დამნაშავე და საქმეების ძირითადი ნაწილი მათი მარცხით სრულდება, რადგან პროკურატურა ამტკიცებს დანაშაულს, მოსამართლე იზიარებს პროკურატურის შუამდგომლობასა თუ მოთხოვნებს და ბრალდებულებს ციხეში უშვებს. ჰოდა, ბრალდებულები იმას კი არ ამბობენ, დავაშავე და სამართლიანად დამსაჯესო, არამედ, ყველაფერს ადვოკატს აბრალებენ, უკეთესი რომ მყოლოდა, ახლა თავისუფლებაზე ვიქნებოდიო ანუ ისინი იმას კი არ ამბობენ, დანაშაული არ უნდა ჩამედინაო, არამედ, ადვოკატს უნდა მოეხერხებინა, რომ ჩემი დანაშაული გადაეფარაო. მეტიც, არის საქმეები, რომლებსაც ადვოკატები პრინციპულად არ ჰკიდებენ ხელს, მაგრამ ყველას აქვს ადვოკატის ყოლის უფლება და ასეთ დროს, სახელმწიფო უნიშნავს სახაზინო წესით და ისიც იძულებულია ამტკიცოს, რომ მკვლელი „უდანაშაულოა“. თავად განსაჯეთ, გასულ კვირას, შვილის გაუპატიურების ბრალდებით დაკავებული მამაკაცის დაცვა, როგორი საქმეა?

„სამსახურიდან გამოვედი, შინ უნდა წავსულიყავი, როცა ნაცნობი ადვოკატი დავინახე. ფეხით იყო და ვუთხარი, ბარემ სახლამდე მიგიყვან, მაინც გზად უნდა გავიარო-მეთქი. ჩამოჯდა, ვისაუბრეთ, მითხრა, საინტერესო საქმე მაქვს, ერთ ბიჭს ვიცავ, რომელსაც დაჭრას აბრალებენ, მაგრამ მოწმე ვიპოვე, რომელმაც დაინახა, რომ დანა სხვამ მოიქნია და ხვალ გადამწყვეტი პროცესი მაქვსო. უხაროდა, ამ პროცესის შემდეგ, ერთი თვით დავისვენებ, ცოლი მომყავს და ქორწილშიც აუცილებლად უნდა მოხვიდეო. სახლთან ჩამოვსვი, მე გზა გავაგრძელე და სანამ სახლამდე მივედი, დავინახე, წინა სავარძელზე საფულე ეგდო. გავხსენი, ადვოკატის საფულე იყო. არ ინერვიულოს-მეთქი და მანქანა მოვაბრუნე, კორპუსთან მივედი, სადარბაზოში შევედი და ეს ჩემი მეგობარი კიბეზე გდია, თავიდან კი სისხლი სდის. პირველივე კარზე დავაკაკუნე, სასწრაფოს გამოუძახეთ-მეთქი და რა თქმა უნდა, ექიმებს ძალოვნებიც მოჰყვნენ. ისე გამოდიოდა, რომ მთავარი მოწმე მე ვიყავი და ჩვენებაც მე უნდა მიმეცა. რა თქმა უნდა, ყველაფერი მოვყევი, რაც იყო, როგორც იყო და იმის მიუხედავად, რომ ოფიციალურად გამოძიების პროცესში მონაწილეობის უფლება არ მქონდა, იქაურობა კარგად დავათვალიერე“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

გამოცდილმა გამომძიებელმა ტყუილად არ იმუშავა – იქვე ნახა ადგილი, სადაც სავარაუდოდ, თავდამსხმელი მსხვერპლს ელოდა, ერთ-ერთი ავტოფარეხის გვერდით, მიწა იყო ნატკეპნი და გაზეთის პატარა ნახევები, ალბათ, ვინც ელოდა, ნერვიულობდა. ცოტა მოშორებით იპოვეს ბეტონის ფილის ნატეხი, რომელსაც ადვოკატის სისხლი შერჩენილი ჰქონდა და ისიც ექსპერტიზაზე წაიღეს. რა თქმა უნდა, მთავარი ეჭვი იმ პროცესის მონაწილეებზე მიიტანეს, რომელიც მეორე დღეს უნდა გამართულიყო. მეტიც, მოწმეების ჩვენების მიხედვით, სწორედ იმ ავტოფარეხთან დაინახეს ქალი, რომელიც აღწერილობით ძალიან ჰგავდა იმ ბიჭის დედას, ვის წინააღმდეგაც მეორე დღეს ჩვენება უნდა მიეცათ და რომლის შვილსაც, სავარაუდოდ, ციხეში რამდენიმე წლით გაუშვებდნენ. ძალოვნებმა ქალს შინ მიაკითხეს და მან არ უარყო, რომ იქ იყო, თუმცა აგურის ჩარტყმა და მკვლელობის მცდელობა კი არა, ისიც კი უარყო, რომ ადვოკატი ნახა.

„დაახლოებით, ორი საათი ველოდე, შემდეგ გულმა ცუდი მიგრძნო და იქაურობა დავტოვე. გამოვედი, ტაქსი გავაჩერე და ვუთხარი, აქედან სწრაფად წამიყვანეთ-მეთქი. თუ არ გჯერათ, შეგიძლიათ გადაამოწმოთ, გზაზე ტაქსის მძღოლი „გაიშნიკებმა“ დააჯარიმეს და ქვითარში აუცილებლად იქნება მითითებული ყველაფერი, მძღოლსაც ადვილად იპოვით და ის დაადასტურებს, როდის დავტოვე იქაურობა“, – განაცხადა ქალმა.

გამომძიებლებმა მართლაც დაადასტურეს და მისი ალიბი დადასტურდა. სხვა ეჭვმიტანილი კი, გამოძიებას უბრალოდ არ ჰყავდა.

„გადავწყვიტე, არაოფიციალური ძეიბა გამეგრძელებინა. ჯერ ერთი, საქმე ჩემს მეგობარს ეხებოდა და მეორეც, რაღაცნაირად თავს დამნაშავედ ვგრძნობდი, მანქანით სადარბაზომდე რომ არ მივიყვანე. კი გადარჩა მეგობარი, მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმას, რომ თავდამსხმელი დაუსჯელი უნდა დარჩენილიყო. ამიტომ, კორპუსის ეზოში მივედი, ჩემოვჯექი და ლოდინი დავიწყე, ვინმე აუცილებლად მოვიდოდა და „ჭორაობას“ შევძლებდით“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

მართლაც, ეზოში მალე გამოჩნდა ახალგაზრდა ქალი ტყუპ ბავშვთან ერთად. ორივე ბავშვი ტყუპისთვის გაკუთვნილ საბავშვო ეტლში ჰყავდა და მათ საყვარლად ეძინათ. ქალი აშკარად აქტიური და კარგი მოსაუბრე გამოდგა.

„ამ ადვოკატთან სულ პრობლემებია. ხან უკმაყოფილო კლიენტი მოუვარდება, ხან ვიღაც ქალის ნათესავი... ახლა ცოლის მოყვანა გადაწყვიტა და ვიღაც გოგომ ამბები დააწია, მე რატომ არ მოგყავარო. კარგი გასართობია, თორემ დილიდან საღამომდე მოწყენილობით მოვკვდებოდი. სამაგიეროდ, ბევრი ფული აქვს, კარგი ადვოკატი ყოფილა, ბინაც ისე გაარემონტა, უკეთესს ვერ ინატრებ“, – არ ჩერდებოდა ქალი.

ვერსია იმის შესახებ, რომ შესაძლებელი იყო ადვოკატზე შური მისი ყოფილი შეყვარებულის სანათესაოს ეძია, ძალიან დამაჯერებლად ჩანდა და გამომძიებელმაც ამ მიმართლებით დაიწყო ქექვა. მეტიც, ადვოკატი აზრზე მოვიდა, საუბარიც შეძლო და... გამორიცხა, რომ შესაძლოა, ყოფილი შეყვარებულის ნათესავებს რამე ანალოგიური მოემოქმედებინათ, რადგან ყოფილი შეყვარებული იმიტომ მიატოვა, რომ ის გათხოვდა. სწორედ ამ დროს, ერთ-ერთმა დამწყებმა გამომძიებელმა ისეთი ვერსია წამოაყენა, რომელზეც თავიდან ბევრს გაეღიმა, შემდეგ კი, სწორედ ამ ვერსიამ გაამართლა და საქმეც გაიხსნა.

„ქორწილამდე ორი კვირით ადრე რომ აპირებენ ადამიანის მოკვლას, ეს იმას ნიშნავს, რომ არ სურთ, კაცი დაქორწინდეს და მემკვიდრე მისი ცოლი გახდეს. ეგებ, მას აქვს ისეთი ქონება, რომელიც ცოლს არ უნდა ერგოს და დამნაშავე ნათესავებში უნდა ვეძებოთ“, – განაცხადა ახალგაზრდა გამომძიებელმა.

როგორც გაირკვა, ადვოკატს ახლო ნათესავები, პრაქტიკულად, არ ჰყავდა. მამა ქვეყნიდან მაშინ წავიდა, როცა 5 წლის იყო და მისი არც კარგი იცოდა, არც ცუდი, რაც შეეხება დედ-მამიშვილებს, არ ჰყავდა. გარდა ამისა, დედაც დედისერთა იყო, ხოლო მამის მხარესთან კი კონტაქტი არასოდეს ჰქონია. ჰოდა, ძალოვნებმა სწორედ მამის და მისი სანათესაოს ძიება დაიწყეს. მალე გაირკვა, რომ მამაკაცი ცოცხალი იყო, სხვა ოჯახი ჰყავდა, მაგრამ საკუთარი შვილი – არა. მეტიც, კაცი სიმსივნით იყო დაავადებული და ექიმები ნახევარ წელზე მეტ გარანტიას ვერ იძლეოდნენ. მის სანახავად და დასაკითხად ოფიციალურ გამოძიებას ბატონი თენგიზიც გაჰყვა.

„შვილი... ბიჭი მყავს, მაგრამ ბედმა ისე ინება, მისი არაფერი ვიცოდი. მერე გავიგე... ორი წლის წინ გავიგე, სად იყო და როგორ იყო. წავედი, მაგრამ ახლოს მისვლა ვერ გავბედე ან როგორ უნდა გამებედა, სულ ბავშვი იყო, როდესაც მივატოვე. ვიცი, რომ წარმატებული ადვოკატია და ჩემთვის, ჩუმად ვამაყობ. მეორე ცოლი მოვიყვანე, ის, ვისთვისაც პირველი ოჯახი მივატოვე, მაგრამ მეტი შვილი აღარ მეყოლა, გერი გავზარდე, გოგონა. ის ახლა დაოჯახებულია, ცალკე ცხოვრობს, ორი ულამაზესი შვილი ჰყავს, ტყუპი“, – განაცხადა კაცმა და ტუმბოზე დადებულ სურათს გახედა. სურათს თვალი გამომძიებელმაც გააყოლა, ბატონმა თენგიზმაც და გაოცდა – სურათიდან ის გოგონა უმზერდა, ადვოკატის ეზოში რომ ესაუბრა და მისი ტყუპით რომ აღფრთოვანდა. გამოცდილი გამომძიებელი მაშინვე მიხვდა, ვინ იყო თავდამსხმელი და დამნაშავე. ეზოში, ტყუპებით მყოფ ქალზე ეჭვს რომ არავინ მიიტანდა, ცხადი იყო.

„მთელი ცხოვრება დედაჩემმა ამ კაცის მოვლას შეალია. მერე, როცა გავიზარდე და გავთხოვდი, არ გამიმართლა, ტყუპი მეყოლა და ქმარმა მიმატოვა. მოგვიანებით გავიგე, რომ ჩემი მამინაცვლის შვილი წარმატებული ადვოკატი იყო და ბედის ირონიით, ერთ კორპუსში მოვხვდით. მე გაძვალტყავებულ ბინაში, ის კი, ევრორემონტით და ბედნიერი. ჰო, მისი მოკვლა მინდოდა და მინდოდა იმიტომ, რომ მისი სიკვდილის შემთხვევაში, ჩემი მამინაცვალი ერთადერთი მემკვიდრე იქნებოდა. არ მოკვდა და ეგებ, სადღაც, მიხარია კიდეც. მგონია, რომ მე თუ არა, ჩემი შვილები უკეთეს ცხოვრებას იმსახურებენ“, – განაცხადა ქალმა პირველივე დაკითხვისას.

როგორც კი ადვოკატმა გაიგო, ვინ იყო მასზე თავდამსხმელი, კოლეგას სასამართლოში მისი დაცვა სთხოვა, შეაწუხა ყველა, ვისაც იცნობდა და არ იცნობდა. ქალს პირობითი სასჯელი მისცეს და მართალია, ადვოკატმა მამას ვერ უშველა და ის რამდენიმე თვეში დაიღუპა, მაგრამ ტყუპის დედას ბინაც გაურემონტა და ძიძაც დაუქირავა დასახმარებლად.

ბათო ჯაფარიძე

როგორც ყველა საქმეში, კრიმინალშიც აუცილებელი პირობა გამოცდილებაა. გამოუცდელ დამნაშავეს, შეიძლება, საქმე გამოუვიდეს, მაგრამ ეს გამართლება იქნება და არა – მისი ნიჭის ან შესაძლებლობების გამომზეურება. ამიტომ, გამოუცდელი დამნაშავეები თუ დამოუკიდებლად ცდილობენ რამე საქმის „გაიმასქნებას“ და უფრო გამოცდილებს არ ეკითხებიან ჭკუას, ძირითადად, ციხეში ხვდებიან. აი, გამოცდილებთან საქმის დაჭერა ცალკე რისკს შეიცავს, მათ ნადავლის დიდი ნაწილი მიაქვთ (იქ „ობშჩიაკიო“, აქ – ჩვენ რომ არა, ვერაფერს იზამდითო, ეს საქმე მანამდე ჩვენ გვინდოდა და თქვენ დაგვასწარითო და ა.შ.) და თუ ძალიან გაუჭირდებათ, დამწყებებს პოლიციასაც ადვილად მიუგდებენ საჯიჯგნად.

რატომ გაითამაშა ნახევარ და-ძმამ ავტომანქანის გატაცება

მოტყუებული დედინაცვალი და მდიდარი კაცის ოჯახური დრამა

პოლიციის განყოფილებაში ქალბატონი მივიდა და განაცხადა, რომ მის შვილს ავტომობილი წაართვეს. როგორც ის ამბობდა, გოგონას ავტო მამამ უყიდა, ორიოდე კვირის შემდეგ კი მანქანით მიდიოდა, როცა წინ სხვა ავტომობილით გადაუდგნენ, გადმოაგდეს და მანქანა წაიყვანეს. მართალია, მათ სამართალდამცავებს სხვა განყოფილებაშიც მიმართეს, მაგრამ ისინი ხელებს უიმედოდ შლიდნენ, ახლოს კამერები არ დგას და ესეც არ იყოს, თქვენი შვილი ძალიან მწირ ინფორმაციას იძლევაო. ჰოდა, დედამაც გადაწყვიტა, რომ შსს-ს ცენტრალურ ოფისში მისულიყო და თავისი გასაჭირის შესახებ სწორედ იქ განეცხადებინა.

გამომძიებელმა საქმე გამოითხოვა, გოგონაც ახლიდან დაჰკითხა, მაგრამ ის მართლაც მწირ ინფორმაციას იძლეოდა.

„როცა წინ ავტომობილი გადამიყენეს და იქიდან ნიღბიანები გადმოვიდნენ, თვალები დავხუჭე. მანქანიდან გადმომაგდეს, მიბრძანეს, მიწაზე 10 წუთი გაუნძრევლად ვყოფილიყავი და 10 წუთს ვინ ჩივის, ალბათ, ნახევარი საათი თავი არ ამიწევია, როცა თვალები გავახილე, ყველა წასული იყო“, – სულ ეს გახლდათ, რასაც დაზარალებული ჰყვებოდა, არც ავტომობილის მარკა, არც თავდამსხმელთა მინიმალური აღწერილობა, მხოლოდ ნიღბიანები იყვნენო, ამას იმეორებდა.

ძალოვნებმა გოგონას მამაც მოიკითხეს. ის იმ ფირმის დირექტორი იყო, რომელიც მისმა სიმამრმა დააარსა და საქმეს ურიგოდ ნამდვილად არ უძღვებოდა. თქვა კიდეც, მქონდა იმის შესაძლებლობა, შვილისთვის მანქანა მეყიდა და მიხარია, ცოცხალი რომ გადარჩა, დანარჩენს ეშველებაო. გამოძიებამ უფრო ღრმად დაიწყო ქექვა და გაარკვია, რომ დაზარალებული გოგონასთვის ქალი დედინაცვალი იყო. როცა ის დაიბადა, დედამისი მალე ავტოსაგზაო შემთხვევის დროს გარდაიცვალა, მამამ კი, მეორედ მალევე იქორწინა. იქიდან გამომდინარე, რომ ქალს საკუთარი შვილი არ ჰყავდა, გერს კარგად ეპყრობოდა, თან ჰყვებოდა, სურდა, საუკეთესო განათლება მიეცა და ამისთვის ყველაფერს აკეთებდა. აი, გოგონა კი, დედინაცვალს დიდად არ სწყალობდა, არ აღიარებდა...

პარალელურად, ავტომობილის ძებნა მთელი ქვეყნის მასშტაბით მიდიოდა და მომხდარიდან ათი დღის შემდეგ, ინფორმაცია შემოვიდა, რომ ავტომობილს გენერალური მინდობილობით ვიღაც კაცი იფორმებდა და საბუთებს ოფიციალურად მანქანის მფლობელი გოგონა აძლევდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ გოგონასთვის მანქანა არავის წაურთმევია და ის, უბრალოდ, მის გაყიდვას ცდილობდა. ძალოვნებმა მყიდველიცა და გამყიდველიც დააკავეს. მყიდველი გადარეული იყო, მე რას მერჩით, გოგო მანქანას ჰყიდდა იაფად, შევთანხმდით, თანხის ნაწილი ახლა მივეცი, ნაწილი, როცა გადამიფორმებდა, მერე უნდა მიმეცა, თქვენ კიდევ მოხვედით და დამიჭირეთო – ამბობდა მყიდველი. გოგონას თავი ჰქონდა დახრილი, ხმას არ იღებდა, თუმცა, როცა მამა მოიყვანეს და მან ჰკითხა, ნუ დამიმალავ რაც ხდება, ხომ იცი, შენ ყველაფერს გაპატიებო, გოგომაც დაიწყო:



„დაახლოებით, სამი თვის წინ, ჩვენს სახლთან ვიღაც ახალგაზრდა ბიჭი მოვიდა, გამომელაპარაკა და მითხრა, რომ ჩემი ძმა იყო. თურმე, თავის დროზე, მამაჩემს საყვარელი ჰყოლია, მან ბიჭი გააჩინა და მამისთვის არასდროს არაფერი უთხოვია. ბიჭმაც არ იცოდა, ვინ იყო მისი ნამდვილი მამა და ახლა, როცა დედა უმძიმეს დღეში იყო საავადმყოფოში, საიდუმლო გაუმხილა. ის კი მამაჩემთან მივიდა და თანხა სთხოვა დედის სამკურნალოდ და უარი მიიღო, აქაოდა, რაც მქონდა, შვილის მანქანაში მივეციო. როცა ეს გავიგე, გადავწყვიტე, მანქანა გამეყიდა და ჩემი ძმის დედას დავხმარებოდი, ამიტომ მოვიფიქრე გატაცება და არ მეგონა, თუ ათი დღის შემდეგაც დაძებნიდნენ, ჩვენ ხომ რეალურად ზერელედ დავწერეთ განცხადება და არც კატეგორიულად მოგვითხოვია, მოძებნეთო. აი, დედინცვალმა ვერ მოისვენა და ყველაფერი გააფუჭა“, – განაცხადა გოგონამ.

მამამ იქვე აღიარა, მეგონა, ჩემს ერთ შვილს მანქანა მეორემ წაართვა და ამიტომაც, ჩუმად ყოფნა მერჩიაო. საბოლოო ჯამში, გოგონას ერთწლიანი პირობით მისცეს, მის ძმასაც იგივე სასჯელი ერგო, დედინაცვალი კი... ქმარს დაშორდა, აქაოდა, ჩემთან შვილი არ გამოგდიოდა და კიდევ სხვაგან ჩასახეო...

ტყეში პოლკოვნიკისა და მისი ცოლის გვამები იპოვეს

გაუხსნელი საქმის უცნობი დეტალები

ბათო ჯაფარიძე

სამწუხაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგული დღესაც ბევრია, შესაძლოა, უმრავლესობამ არ იცის, მაგრამ თუნდაც საქართველოში, ყოველწლიურად, რამდენიმე ათეული ადამიანი იკარგება და მათ ვეღარასოდეს პოულობენ. ადრე, უგზო-უკვლოდ დაკარგულების ფოტოებს ტელევიზიით ავრცელებდნენ, მაგრამ დღეს უკვე – აღარ. საუბედუროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ყველაზე დიდი ოდენობა, სამამულო ომის შემდეგ, 90-იანებში გვქონდა, იქნებოდა ეს სამაჩაბლოსთვის ბრძოლა, აფხაზეთისთვის თავგანწირვა, თუ სამოქალაქო ომის დროს, შინიდან გასული და აღარასოდეს დაბრუნებული ახალგაზრდა გოგო-ბიჭები.

პოლიციის განყოფილებაში 50 წლამდე ქალი მივიდა და განაცხადა, რომ მისი მეგობარი მამაკაცი გაქრა. ქალის თქმით, მამაკაცი, დაახლოებით, ოთხი თვის წინ გაიცნო, საუცხოო ურთიერთობა ჰქონდა, ერთმანეთი შეუყვარდათ, ის კაცი მასთან საცხოვრებლად გადავიდა და ქალი იმაზეც თანახმა იყო, რომ ბინა გაეყიდა და კაცთან ერთად, საცხოვრებლად სოფელში წასულიყო. პრობლემა მხოლოდ მას შემდეგ წარმოიქმნა, რაც გაირკვა, რომ ბინას მალე ვერ გაყიდდნენ, მამაკაცი შინიდან გავიდა და გაქრა. ქალი ამტკიცებდა, ვალდებული ხართ მოძებნოთ, რადგან ის სამხედრო პოლკოვნიკია, სამსახურს თავი კი იმ ტრავმის გამო დაანება, რომელიც პოლიგონზე მიიღო და ამიტომ, ყავარჯნებით დადიოდაო.

პოკლოვნიკის გაუჩინარება არ იყო პატარა საქმე და ამიტომ, მაშინვე მოიკითხეს. დარეკეს იმ ნაწილში, სადაც მსახურობდა და უცნაური პასუხი მიიღეს – ასეთი სახელისა და გვარის პოლკოვნიკი კი არა, ჯარისკაცი არასდროს გვყოლიაო. გადამოწმეს თავდაცვის სამინისტროს არქივში (ყველაფერმა ამან კვირაზე მეტი წაიღო), მაგრამ ამ სახელითა და გვარით პოლკოვნიკი ვერც იქ იპოვეს, თუმცა იპოვეს კაპიტანი, მაგრამ როცა ქალს მისი სურათი ანახეს, თავი გადააქნია, ეს ჩემი საქმრო არ არისო. ჰო, საქმრო, რადგან კაცი ქალს ცოლად მოყვანას ჰპირდებოდა. სამართალდამცავებმა იფიქრეს, რომ მამაკაცი, უბრალოდ, აფერისტი იყო და ქალისთვის ფულის გამოძალვას აპირებდა, ხოლო მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ ბინა მალე ვერ გაიყიდებოდა, გაქრა. პოლკოვნიკობა და სამხედრო ამბები კი ქალის მოსახიბლად მოიგონა. ძალოვნების ვერსიის მიუხედავად, ქალი ამბობდა, გამორიცხულია, ასე ადამიანში შევმცდარიყავი, ისეთი პატიოსანი იყო, ისეთი ქცევები ჰქონდა, არ მომატყუებდა, აუცილებლად რაღაც სჭირსო.

განცხადების შესვლიდან ორიოდე კვირაში, ქალაქის განაპირას მამაკაცის გვამი იპოვეს, იქვე ყავარჯენი ეგდო და გადაწყვიტეს, რომ ეს სწორედ ის დაკარგული პოლკოვნიკი გახლდათ. ამიტომ, ქალი ამოცნობაზე დაიბარეს, მაგრამ მან თავი გადააქნია, არც ეს გახლავთ ჩემი საქმროო და მართალიც იყო – მამაკაცის ვინაობა მეორე დღეს დაადგინეს და მას სხვა ჭირისუფალი ჰყავდა. პოლკოვნიკის ძებნა კი გრძელდებოდა, მაგრამ უკვე ზერელედ, რადგან სახელითა და გვარით, ვერავინ ნახეს ისეთი, ვინც კიდევ იქნებოდა დაინტერესებული მისი ძებნით ანუ გამოდიოდა, რომ გაუჩინარებულს არც ცოლ-შვილი ჰყავდა და სავარაუდოდ, მშობლებიც გარდაცვლილები იყვნენ. მისი გაქრობა ვერ შენიშნეს ვერც მისმა სავარაუდო დედ-მამიშვილებმა (თუ ისინი საერთოდ ჰყავდა) და ამიტომ, ძებნის ტემპები ჯერ შენელდა, შემდეგ კი, საერთოდ გაქრა. ქალი კი, განყოფილებაში ყოველ დღე მიდიოდა და ამბავს კითხულობდა, მაგრამ საიმედოს ვერაფერს ისმენდა.

კიდევ ორიოდე თვე გავიდა და ქალი განყოფილებაში კვლავ მივიდა, თუმცა ამჯერად მარტო არ იყო – გვერდს ყავარჯნიანი კაცი უმშვენებდა და ქალიც ამაყად იმზირებოდა აქეთ-იქეთ.

„თქვენ კი თაღლითი გეგონათ, ჩემი პოლკოვნიკია. აგერ არის, თავისი ხიბლითა და პატიოსნებით“, – ასე წარუდგინა გამომძიებლებს თავის კავალერი და მალე-ვე ინანა – ძალოვნებმა პოლკოვნიკის დამადასტურებელი საბუთის წარდგენა სთხოვეს და კაცმა უხერხულად გაიღიმა, თან არ მაქვსო. ზოგადად, შესაძლოა, შინაურობაში ვიღაც მოატყუო, მაგრამ ძალოვნებთან ოფიცრობას რომ იბრალებ, თანაც უფროსი კორპუსის ოფიცრობას, ეს უკვე სისხლის სამართლის დანაშაულია. ამიტომ, გამომძიებელმა გამომცდელად შეხედა პოლკოვნიკს და აუხსნა, რომ მის ხუმრობას, შესაძლოა, ძალზედ სერიოზული შედეგი მოჰყოლოდა.

„არა, მე მართლა პოლკოვნიკი ვარ, უბრალოდ, მთელი ცხოვრება ბელორუსში ვმსახურობდი, ახლა კი აქ ვარ და საქართველოში, ალბათ, არც არავინ იცის, რომ პოლკოვნიკი გახლავართ. საბუთი მართლაც სახლში მაქვს და თუ თანამშრომელს გამომაყოლებთ, აუცილებლად ვანახებ. რაც შეეხება გაუჩინარებას... მე დედისერთა ვარ, მამა ადრე გარდამეცვალა, დედამ გამზარდა და ახლა მძიმედ იყო ავად, სასწრაოდ ოპერაცია სჭირდებოდა, მე კი ფული არ მქონდა. ჰო, გამოსავალს ამ ქალის ბინის გაყიდვაში ვხედავდი, მაგრამ მართლა შემიყვარდა და ამიტომ, როცა წავედი, წავედი იმიტომ, რომ დედისთვის მიმეხედა, მომევლო. ვერ ვაკადრე ჩემს სიყვარულს, რომ ავადმყოფი დედის ლოგინთან დამესვა და იქ ეცხოვრა ამდენი ხნის განმავლობაში“, – განაცხადა მამაკაცმა და მართლაც, მალე გაირკვა, რომ ის პოლკოვნიკი იყო და თან ნამდვილი პოლკოვნიკი.

ყველაფერი ეს იმიტომ მოგიყევით, რომ 90-იანი წლების დასაწყისში, წყვილი ბელორუსში იმისთვის წავიდა, იქ პოლკოვნიკის ერთოთახიანი ბინა გაეყიდა და ისევ საქართველოში დაბრუნებულიყო. ბინის გაყიდვისა და ფულის აღების შემდეგ, მათი გვამები ტყეში იპოვეს. საქმე ბელორუსელ სამართალდამცავებს დღემდე არ გაუხსნიათ.

ერთა ლიგაზე საქართველოს ნაკრების მეტოქეთა ვინაობა ცნობილია

საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში, ერთა ლიგა 2024-25 წლების სეზონის წილისყრა გაიმართა. ჯგუფური ეტაპის მატჩები მიმდინარე წლის სექტემბერ-ნოემბერში გაიმართება. ჩვენთვის საინტერესო B ლიგა იყო ანუ ის, სადაც საქართველოს ნაკრები იასპარეზებს. იმის გათვალისწინებით, რომ A და B ლიგაში ევროპის უძლიერესი ნაკრებები არიან თავმოყრილნი, სუსტ მეტოქეებთან მოხვედრის იმედი არ გვქონდა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ მაინც გაგვიმართლა და ისეთი ნაკრებები გვერგო, რომლებთანაც საბრძოლო თამაშები იქნება და მოგება როგორც შინ, ისე სტუმრად, ყველასთან შეიძლება. მოკლედ, ერთა ლიგის 2024-25 წლების წილისყრის შედეგები ასეთია და ლიგებიც ასე გამოიყურება:

A ლიგა

I ჯგუფი – ხორვატია, პორტუგალია, პოლონეთი, შოტლანდია

II ჯგუფი – იტალია, ბელგია, საფრანგეთი, ისრაელი

III ჯგუფი – ნიდერლანდები, უნგრეთი, გერმანია, ბოსნია-ჰერცოგოვინა

IV ჯგუფი – ესპანეთი, დანია, შვეიცარია, სერბეთი

B ლიგა

I ჯგუფი – ჩეხეთი, უკრაინა, ალბანეთი, საქართველო

II ჯგუფი – ინგლისი, ფინეთი, ირლანდია, საბერძნეთი

III ჯგუფი – ავსტრია, ნორვეგია, სლოვენია, ყაზახეთი

IV ჯგუფი – უელსი, ისლანდია, მონტენეგრო, თურქეთი

C ლიგა

I ჯგუფი – შვედეთი, აზერბაიჯანი, სლოვაკეთი, ესტონეთი

II ჯგუფი – რუმინეთი, კოსოვო, კვიპროსი, ლიეტუვა ან გიბრალტარი

III ჯგუფი – ლუქსემბურგი, ბულგარეთი, ჩრდ. ირლანდია, ბელორუსი

IV ჯგუფი – სომხეთი, ფარერები, ჩრდ. მაკედონია, ლატვია

D ლიგა

I ჯგუფი – ლიეტუვა ან გიბრალტარი, სან მარინო, ლიხტენშტეინი

II ჯგუფი – მოლდოვა, მალტა, ანდორა

I ტური – 5-7 სექტემბერი
II ტური – 8-10 სექტემბერი
III ტური – 10-12 ოქტომბერი
IV ტური – 13-15 ოქტომბერი
V ტური – 14-15 ნოემბერი
VI ტური – 17-19 ნოემბერი

პლეი-ოფების წილისყრა: ნოემბრის ბოლოს
პლეი-ოფები: 20-25 მარტი, 2025 წელი
A ლიგის ¼-ფინალები – 20-25 მარტი, 2025 წელი
ოთხთა ფინალი – 4-8 ივნისი, 2025 წელი

აქვე იმასაც გეტყვით, რომ, საქართველოს ნაკრებისთვის ერთა ლიგა ყველაზე წარმატებული ტურნირია. ეს ერთადერთი ტურნირია, სადაც ჩვენს გუნდს დადებითი ბალანსი აქვს (ასეთი ბალანსი ამხანაგურ მატჩებშიც კი არ გვაქვს). საერთო ჯამში, საქართველოს ნაკრებმა ერთა ლიგაზე 18 შეხვედრა ჩაატარა, საიდანაც 11 მოიგო, 6 ფრედ დაასრულა და ერთადერთხელ დამარცხდა. ბურთების შეფარდება 34:11-თან. ტურნირის ბომბარდირი ქართველთაგან ხვიჩა კვარაცხელიაა (6 გოლი), ხოლო ნიკა კვეკვესკირი ერთადერთი ფეხბურთელია, რომელმაც ნაკრების რიგებში ყველა, 18 მატჩი ითამაშა.

კვარაცხელიას კონტრაქტი ბუნდოვანია

მოგეხსენებათ, ხვიჩა კვარაცხელიას კონტრაქტის გარშემო, როგორც გულშემატკივრებს, ისე ჟურნალისტებს სერიოზული ხმაური აქვთ ატეხილი. „ნაპოლის“ ტიფოზები ფიქრობენ, რომ აურელიო დე ლაურენტისი უსამართლოდ იქცევა და გუნდის ლიდერს ჯამაგირს არ უზრდის. არადა, „ვერონასთან“ შეხვდრაშიც ნათლად გამოჩნდა, რომ გუნდის მთავარი ვარსკვლავი სწორედ ქართველი შემტევია და ამ დროს, მოედანზე მყოფ ფეხბურთელთაგან, ყველაზე დაბალანაზღაურებადი სწორედ ის იყო.

„დაახლოებით სამი თვის წინ, კვარაცხელიას წარმომადგენლებს დავურეკე და კლუბის ბაზაზე შეხვედრა ვთხოვე. მათ ვუთხარი, რომ ხვიჩასთან კონტრაქტის გახანგრძლივება და პირობების გაუმჯობესება მინდოდა, მაგრამ მათ განმიცხადეს, რომ დღეს არსებული მდგომარეობით კმაყოფილები არიან ანუ ყველაფერი მოსწინთ და კონტრაქტის გახანგრძლივებაზე საუბარს მხოლოდ მიმდინარე სეზონის ბოლოს აპირებენ. კი, ბატონო, იყოს სეზონის ბოლო, მე მერეც მზად ვიქნები სასაუბროდ და ახლაც მზად ვარ“, – განაცხადა დე ლაურენტისმა, მაგრამ იტალიური მედია ამტკიცებს, კვარაცხელიას მენეჯერებმა „ნაპოლის“ მფლობელს საკუთარი პირობები უკვე გააცნეს და შეთანხმება ვერ მოხერხდა, რადგან დე ლაურენტისი ქართველების მხრიდან შეთავაზებული თანხის გადახდას არ აპირებს და სამჯერ ნაკლებ ხელფასს სთავაზობსო.

კვერნაძის ბედი „ფროზინონზეს“ ბედზე ჰკიდია

იტალიური „ფროზინონეს“ ქართველი შემტევი გიორგი კვერნაძე ოფიციალურად ფოთის „კოლხეთის“ კუთვნილებაა და იჯარის წესით, აპენინებზე მიმდინარე წლის 30 ივნისამდე თამაშობს. იმის მიუხედავად, რომ ჩვენებურმა კლუბის რიგებში, საერთო ჯამში, რვა მატჩი ჩაატარა, იტალიელები მზად არიან, მისი კონტრაქტი გამოისყიდონ.

„ქართველი ნახევარმცველი მოგვწონს და მზად ვართ, მისი კონტრქტი გამოვისყიდოთ, თუმცა, ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, სად ვიქნებით სეზონის ბოლოს – სერია A-ში თუ სერია B-ში“, – განაცხადა „ფროზინონეს“ სპორტულმა დირექტორმა, გვიდო ანჯელოციმ.

ცნობისთვის, „ტრანსფერმარკეტზე“ კვერნაძე 500 ათას ევროდ არის შეფასებული მაშინ, როცა ქართულ და იტალიურ კლუბებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში გამოსასყიდ თანხად 3 მილიონი ევროა მითითებული.

ლუქსემბურგის ნაკრები თბილისში გულშემატკივრების გარეშე იქნება

მოგეხსენებათ, მარტი ქართული ფეხბურთისთვის უმნიშვნელოვანესი თვეა. ერთა ლიგის პლეი-ოფში გასულ საქართველოს ნაკრებს ორი შეხვედრის გამართვა უწევს (იმედია, რომ ორის). ჩვენი გუნდი ჯერ ლუქსემბურგს ხვდება 21 მარტს, გამარჯვების შემთხვევაში, საბერძნეთსა და ყაზახეთს შორის გამარჯვებულს, ისევ თბილისში უმასპინძლებს და ამ შეხვედრასაც თუ მოვიგებთ, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, ისტორიაში პირველად მოვხვდებით. რა თქმა უნდა, შეხვედრისთვის ლუქსემბურგელებიც ემზადებიან და ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ჩარტერული რეისიც გამოჰყო, რათა ფეხბურთელებს თავი მარტო არ ეგრძნოთ და „დინამო არენის“ ტრიბუნებიდან, ფანების შეძახილი გაეგონათ. ახლა კი, ირკვევა, რომ ლუქსემბურგელმა ფეხბურთის მამებმა, ჩარტერი გააუქმეს.

„გულშემატკივრებს ჰქონდათ მიცემული გარკვეული დრო, რომ ჩარტერული რეისისთვის ბილეთები შეეძინათ. იმისთვის, რომ ჩარტერი განხორციელებულიყო, საჭირო გახლდათ 170 ბილეთის გაყიდვა, დათქმულ დღეს კი, მხოლოდ 107 ბილეთი იყო გაყიდული. მათ, რომლებმაც ბილეთები შეიძინეს, თანხა უკან დაუბრუნდებათ, ჩარტერი კი გაუქმდა. ახლა, თუ ვინმეს საქართველოში გაფრენა სურს, რთული გზის გავლა მოუწევს რამდენიმე ქვეყნის გავლით და გადაჯდომებით“, – ნათქვამია ფეხბურთის ფედერაციის განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ ლუქსემბურგი ევროპაში ფინანსურად წელგამართული ერთ-ერთი სახელმწიფოა და საინტერესოა, რატომ ვერ მოინახა 600 ათასიან ქვეყანაში, 170 ისეთი ადამიანი, რომლებიც ისტორიულ მატჩზე, ნაკრების საქომაგოდ წასვლას ისურვებდნენ.

„ბებრების“ მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელიც მილიონებს დაწერს

კომპანია Elite Players Group-მა იმდენად საინერესო იდეა მოიფიქრა, რომ ფეხბურთის გულშემატკივრები მის განხორციელებას მოუთმენლად ელიან. საუბარია მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატზე, რომელშიც მონაწილეობას 35 წელს გადაცილებული ვეტერანი ფეხბურთელები მიიღებენ. აუცილებელი პირობაა, რომ ამ მუნდიალზე მოთამაშე ფეხბურთელს, ასაკის გარდა, ერთხელ მაინც ჰქონდეს ფეხბურთელობისას ეროვნულ გუნდში ნათამაშები, ან უმაღლეს ლიგაში 100 მატჩზე მეტი ჩატარებული. მსოფლიოს ჩემპიონატზე რვა ნაკრები მიიღებს მონაწილეობას ანუ ის ნაკრებები, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონები ერთხელ მაინც გამხდარან – ბრაზილია, ურუგვაი, არგენტინა, გერმანია, ინგლისი, ესპანეთი, საფრანგეთი, იტალია.

უკვე ცნობილია ყველა ნაკრების კაპიტანი: ბრაზილია – ემერსონი, ურუგვაი – დიეგო ლუგანი, არგენტინა – ესტებან კამბიასო, გერმანია – კევინ კურანი, ინგლისი – სტივ მაკმანამანი, ესპანეთი – მიჩელ სალგადო, საფრანგეთი – კრისტიან კარემბუ, იტალია – მარკო მატერაცი.

რაც შეეხება შემადგენლობებს, უკვე ცნობილია, რომ მსოფლიოს ვეტერნთა ჩემპიონატში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადეს **მაიკლ ოუენმა, კაკამ, რონალდინიომ, რივალდომ, ფაბიო კანავარომ, ეშლი კოულმა, რიო ფერდინანდმა, ჯო კოულმა, დევიდ ჯეიმსმა, ფრენკ ლამპარდმა, რობი ფაულერმა, კაფუმ, რობერტო კარლოსმა, ტიერი ანრიმ, მარსელ დესაიმ, ერნან კრესპომ, პაბლო საბალეტამ, დევიდ ვილამ, კარლეს პუიოლმა, დიეგო ფორლანმა, ფრანჩესკო ტოტიმ...**

რაც შეეხება შეხვედრებს, მატჩები 90 წუთის ნაცვლად, 70 წუთი გაგრძელდება. მეოთხედფინალები 4 და 5 ივნისს გაიმართება, ნახევარფინალები – 8 ივნისს, ფინალი კი 11 ივნისს შედგება. თუმცა, გულშემატკივრებს შთაბეჭდილებებით ტკბობა დიდ ხანს არ მოუწევთ, ვეტერანთა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალიდან სამ დღეში, 14 ივნისს, ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატი იწყება, მისი დასრულების შემდეგ კი, სტარტს ოლიმპიური თამაშები იღებს.

ჩეფერინი პოსტს 2027 წელს დატოვებს

უეფა-ს პრეზიდენტის, ალექსანდრ ჩეფერინის გარშემო სერიოზული სკანდალი აგორდა. მოგეხსენებათ, სლოვენიელმა პრეზიენტის პოსტი 2016 წელს, მას შემდეგ დაიკავა, რაც მიშელ პლატინის ფეხბურთში საქმიანობა კორუფციულ გარიგებებში მონაწილეობის გამო აუკრძალეს. ჩეფერინმა პლატინის ვადა დაასრულა, 2019 წელს კი მეორე ვადით აირჩიეს 2023 წლამდე. 2023-ში, ჩეფერინი მესამე ვადით – 2027 წლამდე გახდა პრეზიდენტი. ოფიციალურად, უეფას პრეზიდენტობა ერთსა და იმავე პირს, მაქსიმუმ, ზედიზედ სამჯერ შეუძლია და წესით, ჩეფერინი 2027 წელს პრეზიდენტობის კანდიდატად აღარ უნდა დარეგისტრირდეს, მაგრამ უეფა-ს შესაბამისმა კომიტეტმა იმსჯელა და ჩეფერინს ის ვადა, როცა მან პლატინი ჩაანაცვლა, არ ჩაუთვალა, რაც იმას ნიშნავს, რომ სლოვენიელ ჩინოსანს 2027 წელსაც შეუძლია პრეზიდენტად კენჭი იყაროს. ამ გადაწყვეტილებამ, უეფა-ში არაერთი ჩინოვნიკი გააბრაზა. მეტიც, ლეგენდარული ხორვატი ვეტერანი ფეხბურთელი, ზვონიმირ ბობანი, რომელიც უეფა-ს საფეხბურთო დეპარტამენტის შეფი იყო, პროტესტის ნიშნად, თანამდებობიდან გადადგა.

„მინდა, ყველა დავამშვიდო. როგორი გადაწყვეტიულებაც არ უნდა მიეღო აღმასკომს, მე ზუსტად ვიცოდი, რომ 2027 წელს, კანდიდატურას აღარ დავაყენებდი. ახლა, ამის გაკეთების უფლება მაქვს, მაგრამ მერწმუნეთ, 2027 წელს, მე უეფა-ს პრეზიდენტი აღარ ვიქნები. 11 წელი საკმარისია ერთ თანამდებობაზე და იმედი მაქვს, ჩემი შემცვლელიც იმავეს იფიქრებს და არ ეგონება, რომ აქ მუდმივად უნდა დარჩეს. რაც შეეხება ბობანს, მას უბრალოდ ხმაურის ატეხვა სურდა, მაგრამ ამ საქმიდან რა გამოვიდა, თავადაც ნახეთ“, – განაცხადა ჩეფერინმა.

პოლიციამ თბილისში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ორი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წარსულში ნასამართლევი ორი პირი, ძმები – 1987 წელს დაბადებული ე.ბ. და 1985 წელს დაბადებული კ.გ. დააკავეს.

მათ ბრალად ედებათ ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარება.

დანაშაული 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, მიმდინარე წლის 11 თებერვალს, თბილისში, ნაცნობზე – 1977 წელს დაბადებულ ფ.კ.-ზე, მათ შორის არსებული უთანხმოების ნიადაგზე, მისსავე საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ, ჯერ ფიზიკურად იძალადეს, შემდეგ კი ის სანადირო თოფიდან გასროლით მოკლეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

სამართალდამცველებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბრალდებულები ცხელ კვალზე დააკავეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი, გადაჭრილი სანადირო თოფი, ნივთმტკიცებად ამოიღო.

დამამძიმებელ გარემოებაში, ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის ჯგუფურად, უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტებზე, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტითა და სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

2023 წელს რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკური მონაცემები

საზოგადოების ინფორმირების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, https://info.police.ge/ 2023 წლის დანაშაულის სტატისტიკური მონაცემები გამოქვეყნდა.

სტატისტიკის თანახმად, 2023 წელს, ქვეყნის მასშტაბით რეგისტრირებული დანაშაულის მაჩვენებელი, 2022 წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, დაკლებულია.

როგორც წინა წლებში, 2023 წელსაც გაგრძელდა დანაშაულის გახსნის მაჩვენებლის მატების ტენდენცია და გასულ წელს, საგამოძიებო უწყების მიერ გახსნილია რეგისტრირებული დანაშაულის 64.87%.

2023 წელს შემცირებულია სიცოცხლის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ფაქტები.

საანგარიშო პერიოდში განზრახ მკვლელობებისა და განზრახ მკვლელობის მცდელობების 178 ფაქტი დარეგისტრირდა, რაც 2022 წლის მონაცემებთან შედარებით, შემცირებულია 8.71%-ით.

ასევე, შემცირებულია ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტებიც.

გრძელდება საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების კლების ტენდენციაც. შემცირებულია ქურდობის, მათ შორის ბინიდან ქურდობის ფაქტები.

პოლიციის მიერ, ნარკოტიკული საშუალებების უკანონო გავრცელების წინააღმდეგ გატარებული შედეგიანი სამართლებრივი პოლიტიკისა და ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან აქტიური ბრძოლის შედეგად, გაიზარდა ნარკოდანაშაულის გამოვლენის ფაქტები.

2023 წელს, 2022 წელთან შედარებით, სამართალდამცველების მიერ ნარკოდანაშაულის გამოვლენის ფაქტები გაზრდილია 20.53%-ით.

გამოვლენის გაზრდილი მაჩვენებელი ფიქსირდება კიბერდანაშაულის მიმართებითაც და 7.3 %-ით მეტს შეადგენს.

მსხვერპლთა მხრიდან პოლიციის მიმართ ნდობისა და მომართვიანობის გაზრდის პროპორციულად, 2023 წელს გაზრდილია სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების რაოდენობა.

რაც შეეხება ქორწინების იძულების ფაქტებს, 2023 წელს, 2022 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გაზრდილია, რაც მეტწილად, საზოგადოებაში აღნიშნული დანაშაულის შესახებ ცნობიერების ამაღლებითაა განპირობებული.

2023 წლის 1 აგვისტომდე რეგისტრირებული სანადირო ხრახნილლულიანი ცეცხლსასროლი იარაღის ბალისტიკური შემოწმებისთვის განსაზღვრული ვადა გახანგრძლივდა

მომსახურების სააგენტო გაცნობებთ, რომ „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, 2023 წლის 1 აგვისტომდე რეგისტრირებული სანადირო ხრახნილლულიანი, მათ შორის, კომბინირებული ცეცხლსასროლი იარაღის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ბალისტიკური შემოწმების ჩატარების მიზნით, მომსახურების სააგენტოში წარმოდგენის ვადა გახანგრძლივდა და განისაზღვრა 2024 წლის 1 მაისი.

აღნიშნული პირები ბალისტიკური შემოწმებისთვის დაწესებული საფასურისგან თავისუფლდებიან.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 1272.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორად გიორგი მინდიაშვილი დაინიშნა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარახველიძემ ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებს ახალი ხელმძღვანელი, გიორგი მინდიაშვილი წარუდგინა, რომელმაც აღნიშნულ თანამდებობაზე გიორგი ოსაძე ჩაანაცვლა.

გიორგი ოსაძე კი საქმიანობას შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში, პრორექტორის პოზიციაზე გააგრძელებს.

გიორგი მინდიაშვილს უწყებაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს.

აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნამდე, შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილის პოზიციას იკავებდა.

გიორგი მინდიაშვილი, ასევე, წამყვან თანამდებობებზე მუშაობდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატსა და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში.

ალკოჰოლის გარეშეც დათვრებით

ამაზე ბრიტანელებმა იზრუნეს. ერთ-ერთმა კომპანიამ უალკოჰოლო ლუდი და ღვინო Sentia ჩამოასხა, რომელიც დათრობის შეგრძნებას იწვევს. თუმცა, სასმელს არ აქვს ნეგატიური შედეგები – ის არ იწვევს ნაბახუსევს და არც ღვიძლისთვის წარმოადგენს საფრთხეს. ახალი სასმელი ეფექტიანად ახდენს ალკოჰოლის ორგანიზმზე ზემოქმედების იმიტირებას მცენარეული კომპონენტების შემცველი ნარევის წყალობით, რომელიც ადამიანს ამშვიდებს და უფრო კომუნიკაბელურს ხდის. ერთი ბოთლი სასმელი 28 გირვანქა სტერლინგი ღირს. გემოები კი, როგორც მისი ავტორები ამბობენ, თავბრუდამხვევი არომატებითაა წარმოდგენილი.

სიყრუე გენური თერაპიით დაძლიეს

აშშ-ში, ფილადელფიის ბავშვთა კლინიკაში, გენური თერაპიის წყალობით, პირველად, სიყრუისგან განკურნეს 11 წლის ბიჭი ეისამი. ერთი გენის იშვიათი ანომალიის გამო, ის ბავშვობიდან სმენადაქვეითებული იყო. ექიმებმა მას ყურის აპკზე ოპერაცია ჩაუტარეს და უსაფრთხო ვირუსის ინექცია გაუკეთეს, რომელმაც ბავშვის ორგანიზმში ოტოფერლინის გენი შეიყვანა. ის აუცილებელია, რათა ტვინში ხმის ვიბრაცია სიგნალებად გადაიქცეს. ოპერაციიდან ოთხი თვის შემდეგ, ბიჭის სმენა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა – მან, პირველად ცხოვრებაში, ხმები გაიგონა. თუმცა, მედიკოსების თქმით, შესაძლოა, ეისამმა ლაპარაკი ვეღარ დაიწყოს, რადგან ის უკვე ხუთ წელზე მეტისაა. მედიცინიოს მიღწევები ბავშვისთვის სმენის დაბრუნებაში იმედს აძლევს იმ პაციენტებს, რომელთა სიყრუეც გენეტიკური მუტაციებითაა განპირობებული. ის საშუალებას იძლევა, 150-ზე მეტ სხვა გენზეც იმოქმედოს.

ნახევარი მილიონი გომბეშოებს დაახარჯეს

გერმანიაში, ქალაქ ჰამბურგის ერთ-ერთი რაიონის ადგილობრივმა ხელისუფლებამ თითქმის 500 ათასი ევრო დახარჯა გომბეშოების პოპულაციის გადასარჩენად – მათთვის სპეციალური გვირაბი გააკეთეს. საქმე ის არის, რომ ადგილობრივმა ბუნებისდამცველებმა, 2020 წელს, გომბეშოების რაოდენობა დაითვალეს და გაარკვიეს, რომ სულ რაღაც 1 002 ცალი იყო. ერთი წლის შემდეგ, ეს რიოცხვი კიდევ უფრო შემცირდა და 616 გახდა. ამის გამო, იქაურმა „მწვანეთა“ პარტიის წარმომადგენლებმა ცივსისხლიანებისთვის მიწისქვეშა გვირაბების მშენებლობა დაიწყეს, რომ მათ გზების გადაკვეთა აღარ მოუხდეთ. ამხელა ხარჯის გაღებამ გადასახადის გადამხდელთა ასოციაციის უკმაყოფილება გამოიწვია. გარდა ამფიბიების გადასარჩენად გაღებული ამხელა ხარჯისა, კითხვები იმანაც გააჩინა, რომ გომბეშოებისთვის გვირაბები არა გადატვირთული მაგისტრალების, არამედ, ველობილიკებისა და წყნარი ქუჩების ქვეშ გააკეთეს.

ბერლინში კიბერბორდელი გახსნეს



გერმანიის დედაქალაქში მუშაობა დაიწყო Cybrothel-მა – პირველმა კიბერბორდელმა მსოფლიოში. გოგონების ნაცვლად, იქ სტუმრებს სექს-თოჯინები ეგებებიან, რომლებიც ხელოვნური ინტელექტის დამატებითი სისტემითა და ვირტუალური რეალობით არიან აღჭურვილნი. ბიმბო, კოკეში და კო – თოჯინების სახელებია, მათ არ შეუძლიათ მოძრაობა და ლაპარაკი, მაგრამ კლიენტები ურთიერთობენ მათთან ვირტუალურ სამყაროში. შესაბამისი აღჭურვილობის მორგების შემდეგ, მათ შეუძლიათ, 4D-ხარისხში უყურონ პორნოს საყვარელი სექს-ბოტის მონაწილეობით. ამ ბიზნესის დამფუძნებელი ამბობს, რომ აპირებს შემდეგი თაობის რობოტი-თოჯინები შექმნას, რომელთაც რეალურ დროში რეაგირება ექნებათ შეხებაზე და ლაპარაკსა შეძლებენ.

ყველაზე ლამაზ ნაყინს ჰყიდიან

იაპონური კაფე (THISIS) SHIZEN, რომელიც კიოტოში, ShinPuhKan-ის სავაჭრო ცენტრში მდებარეობს, მეტად პოპულარული გახდა იმ ფანტასტიური დესერტის წყალობით, რომელსაც მსოფლიოში ყველაზე ლამაზ ნაყინს ეძახიან. ბოტანიკურ თემაზე შექმნილ კაფეში, სადაც ქოთნებში უზარმაზარი მცენარეებია, ჰყიდიან ნაყინს რძის გარეშე. მას ფერადი თაიგულების სახე აქვს და იმდენად ლამაზი და რეალისტურია, რომ ჭამაც კი დაგენანებათ. ამ უნიკალური დესერტის მთავარი ინგრედიენტია ანკო – ტკბილი პასტა, რომელიც აძუკის წითელი მარცვლებისგან მზადდება. ის გემოთი ტკბილ კარტოფილს წააგავს და პოპულარული იაპონური დესერტების სიაში შედის. ვაფლში ჩამოსხმული ეს ფერად-ფერადი საჭმელი თაიგულები სხვადასხვა გემოსია. მას ყოველი კლიენტის სურვილის მიხედვით არჩევენ და სეზონის მიხედვით ცვლიან. ერთი ასეთი ნაყინი-თაიგულის ღირებულება 1 650 იენია (დაახლოებით, 11 დოლარი).

აეროპორტში ვენახს გააშენებენ

ცნობილი გახდა, როგორი იქნება ახალი ტერმინალი ფლორენციაში, ამერიგო ვესპუჩის საერთაშორისო აეროპორტში, რომელიც 5.9 მილიონ მგზავრს ატარებს ყოველწლიურად. ტერმინალი, რომლის ფართობიც 50 ათასი კვადრატული მეტრია, მულტიმოდალური ტრანსპორტის შესაძლებლობებს გააერთიანებს, მათ შორის, სარკინიგზოსაც, რათა ქალაქს სწრაფად დაუკავშირდეს. ახალი პროექტის მიხედვით, რომლის ავტორიც არქიტექტორული ფირმა Rafael Viñoly Architects-ია, ტერმინალის ტრაპეციის ფორმის სახურავზე ვენახის გაშენებაა დაგეგმილი. ამ საქმეს რეგიონის ერთ-ერთი წამყვანი მეღვინეობის კომპანია მიხედავს. აეროპორტში დაკრეფილი ყურძნიდან დაყენებულ ღვინოს იქვე, სპეციალიზებულ სარდაფში შეინახავენ და დააძველებენ. ვარაუდობენ, რომ ფლორენციის აეროპორტის რეკონსტრუქცია ორ ეტაპად განხორციელდება და 2035 წლისთვის დასრულდება.

ჰიგიენის დაუცველობისთვის კომპენსაციას გადაიხდის

თურქეთში, სასამართლომ მამაკაცი დაავალდებულა, საკუთარ ცოლს, ჰიგიენის დაუცველობისთვის, 16.5 ათასი დოლარის კომპენსაცია გადაუხადოს. როგორც ადგილობრივი მედია წერს, ანკარის მცხოვრებმა ქალმა სასამართლოს იმის გამო მიმართა, რომ მისი ქმარი თითქმის არ იხეხავდა კბილებს – კვირაში მხოლოდ ერთხელ ან ორჯერ და პრინციპში, არ იცავდა პირად ჰიგიენას. სასამართლომ ქალის მხარე დაიჭირა და დააკმაყოფილა მისი თხოვნა განქორწინების თაობაზე, თან კომპენსაციაც მიაკუთვნა. სასამართლო პროცესმა დიდი ინტერესი გამოიწვია და სოციალურ ქსელებში დიდი განხილვის საგანი გახდა.

ზაფრანის ფასი რეკორდულად გაიზარდა

მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული სანელებლის – ზაფრანის ფასმა ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია. ირანში ერთ კილოგრამის ფასი 1 400 დოლარია, სხვა ქვეყნებში კი ღირებულება 1 800 დოლარს აღწევს. სანელებლის ასე გაძვირება ირანში (მის უდიდეს მწარმოებელ ქვეყანაში) მოსავლიანობის ვარდნამ განაპირობა, რაც ამინდის პირობების ცვლილებამ და წყლის დეფიციტმა გამოიწვია. ზაფრანის საერთო წარმოება 400 ტონიდან 170 ტონამდე შემცირდა. ზოგადად, მისი მაღალი ღირებულება წარმოების დიდი შრომატევადობით აიხსნება: ერთი ყვავილი სულ სამ ღეროს (სტიგმას) იძლევა, ერთი კილოგრამი სანელებლის მისაღებად კი 200 ათასი ყვავილია საჭირო.

„ყველაზე სექსუალური ენა“ იტალიურია

ევროპის ქვეყნებსა და აშშ-ში, 6 ათასზე მეტი ადამიანი გამოკითხეს იმის დასადგენად, რომელ ენას მიიჩნევდნენ „ყველაზე სექსუალურად“, „ყველაზე რომანტიკულად“ და „ყველაზე ვნებიანად“. კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ყველაზე სექსალურად და რომატიკულად რესპონდენტები იტალიურ ენას აღიქვამენ. არადა, დღემდე ამ ტიტულს ფრანგული ენა ფლობდა. იტალიურს გარკვეული თავისებურებები აქვს, რაც მას მეტ მომხიბვლელობას მატებს, – გვიხსნიან სპეციალისტები და იქვე აზუსტებენ, რომ ესენია ტონის სიმაღლის აწევა-დაწევა სალაპარაკო ენაში, რაც იტალიურს ერთგვარ მუსიკალურ ხარისხს ანიჭებს და ადამიანები მას მიმზიდველად თვლიან. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ბრიტანული ინგლისური „ყველაზე თავაზიანად“ აღიარეს, გერმანულმა კი პირველი ადგილი „ყველაზე პირდაპირის“ ნომინაციაში დაიკავა. კვლევისას სწავლულები პარტნიორების ურთიერთობასაც სწავლობდნენ, რომლებიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ. როგორც გაირკვა, გამოკითხულთა 70% თვლიდა, რომ თუკი მისი რომატიკული პარტნიორის ენას შეისწავლიდა, ეს მათ შორის კავშირებს გაამყარებდა.

The Beatles-ის წევრების ნახატი აუქციონზე



ნახატი, რომლის ავტორებიც ლეგენდარული ბრიტანული ჯგუფის The Beatles-ის წევრები არიან, Christie's-ის აუქციონზე, 1.74 მილიონ დოლარად გაიყიდა. სურათი, რომელიც 1966 წელს იაპონიაში, საკონცერტო ტურის მსვლელობის დროს, აბსტრაქციონიზმის სტილში შეიქმნა, შესრულებულია ტრადიციულ იაპონურ ქაღალდზე – ვასი. წყაროს ინფორმაციით, ჯგუფის წევრები იმ პერიოდში, უსაფრთხოების მიზეზებიდან გამომდინარე, იძულებულნი იყვნენ, კონცერტებიდან თავისუფალ დროს, მუდმივად სასტუმროში ყოფილიყვნენ. სწორედ ამ ფაქტმა გაუღვიძა მათ სურვილი, ერთობლივი ნახატი შეექმნათ, რომელზეც ჯგუფის ყველა წევრის ავტოგრაფია დატოვებული. მოგვიანებით ნახატს „ქალის სახეები“ დაარქვეს.

სტრესს ბროწეული შველის

ედინბურგის უნივერსიტეტის მკვლევარებმა სტრესის საწინააღმდეგო საუკეთესო საშუალებას მიაგნეს – მათი მოსაზრებით, ეს ბროწეულის წვენია. სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ეს სასმელი სტრესის ჰორმონის დონეს აქვეითებს, აწყნარებს ნერვებს და შრომისუნარიანობას ზრდის. სწავლულთა ექსპერიმენტში 60 მოხალისე მონაწილეობდა. 14 დღის განმავლობაში, მათ ყოველდღიურად ორ ჭიქა ბროწეულის წვენს ასმევდნენ. ამასთან, პირველ და ბოლო დღეს მათ კითხვარი შეავსებინეს, სადაც საკუთარი განწყობის, სამსახურთან დამოკიდებულებისა და ხასიათის შესახებ უნდა ჩაეწერათ. აღმოჩნდა, რომ დღეში 250 მილილიტრი ბროწეულის წვენი ადამიანს მხნეობით ავსებს, ზრდის შრომისუნარიანობას და განწყობასაც უმაღლებს. უფრო მეტიც, ეს სასმელი საუკეთესო ანტიდეპრესანტია და სტრესის ჰორმონის – კორტიზოლის დონეს მნიშვნელოვნად ამცირებს.

ევერესტიდან ექსკრემენტებს ჩამოიტანენ

მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალზე, რომლის დაპყრობის მსურველიც უამრავი ადამიანია, საზოგადოებრივი საპირფარეშო არ არის. ამასთან დაკავშირებით, გარემო რომ არ დაბინძურდეს, ადგილობრივმა ხელისუფლებამ სავალდებულო წესი შემოიღო ალპინისტებისთვის: მათ საკუთარი ექსკრემენტები უნდა მოაგროვონ და მწვერვალიდან ჩამოიტანონ საბაზო ბანაკში, ევერესტის ძირში. „ჩვენი მთები აყროლებას იწყებს, – აღიარებს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე, – საჩივრებს ვიღებთ, რომ ფერდობებზე ექსკრემენტები ჩანს. ეს მიუღებელია და ჩვენს იმიჯსაც ლახავს“.

ასე რომ, ამიერიდან ევერსტისა და მისი მეზობელი მწვერვალის – Ixoces ამღებ ალპინისტებს მოუწევთ, ქვედა ბანაკში სპეციალური ტომრები შეიძინონ და უკან დაბრუნებისას, შესამოწმებლად წარადგინონ, რათა ხელისუფლება დარწმუნდეს, რომ მწვერვალებზე არაფერი დატოვეს.

ძალიან დაბალი ტემპერატურის გამო (-42 გრადუსიც დაფიქსირებულა) ექსკრემენტები არ იშლება, ეგრევე იყინება და ძალიან ცოტა ალპინისტს თუ ჩამოაქვს ის ქვემოთ – მწვერვალის დალაშქვრა ძალიან დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს და ექსკრემენტების პაკეტებით სიარული ნამდვილად არავის ენდომება. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში დიდი აქციები ტარდება მწვერვალების ფერდობების დასასაუფთავებლად, მათ შორის, ნეპალის არმიის ყოველწლიური ოპერაცია, ევერესტისა და სხვა მწვერვალების დანაგვიანების პრობლემა მაინც მწვავედ დგას.

რესტორნების რიგს ყიდულობენ

ამომავალი მზის ქვეყანაში იმდენად ბევრი გურმანი ცხოვრობს, რომ საუკეთესო რესტორნებში შესასვლელად, ზოგჯერ თვეებიც კი გადის რიგში. ერთმა გამჭრიახმა ბიზნესმენმა, ტაკაში იამადამ ამით ისარგებლა და დააფუძნა კომპანია Tableall.com, რომელიც რესტორნებში დაკავებულ რიგს ჰყიდის. კომპანია ყოველდიურად წინასწარ ჯავშნის ადგილებს ტოკიოს საუკეთესო დაწესებულებებში, შემდეგ კი მათზე ჰყიდის, რომლებსაც დიდხანს ლოდინი არ შეუძლიათ. რესტორანში ურიგოდ ვახშმობის შესაძლებლობის საფასური, ერთ ადგილში, 26 დოლარიდან იწყება. დღეისთვის კომპანია დედაქალაქის 20-მდე საუკეთესო რესტორანში ჰყიდის ადგილებს, მომავალში, მსგავსი სერვისის ამოქმდებას იაპონიის სხვა დიდ ქალაქებშიც გეგმავს.

მავნე ჩვევა სიცოცხლეს 28 წლით გვიმოკლებს

ამერიკელმა სწავლულებმა კაროლინას უნივერსიტეტიდან მასშტაბური კვლევა ჩაატარეს იმის გასარკვევად, როგორ შეიძლება გაიხანგრძლივოს ადამიანმა სიცოცხლე. სპეციალისტებმა გააანალიზეს დანიის, ფინეთისა და შვედეთის მოქალაქეების სიცოცხლის ხანგრძლივობა. 20-წლიანი დაკვირვების პერიოდში, ყოველნაირი დაავადებებისგან სიკვდილიანობა გაცილებით მაღალი იყო ალკოჰოლის მოყვარულთა ჯგუფში. აღმოჩნდა, რომ სასმელის მოყვარულებში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 28 წლით მცირდებოდა. მედიკოსები გვაფრთხილებენ – ალკოჰოლი ნეგატიურ გავლენას ახდენს ტვინის, გულისა და ღვიძლის მუშაობაზე. სპირტიანი სასმელების რეგულარული მიღება კი ზრდის სხვადასხვა სახის სიმსივნის განვითარების რისკს. გარდა ამისა, ალკოჰოლიზმი ხდება ჭკუასუსტობის, იმპოტენციის, უნაყოფობის მიზეზი.

პიცა განწყობისთვის

პიცერია Pizza Hut-ის ბრიტანული ფილიალი კლიენტებს განწყობის ასამაღლებელ პიცას სთავაზობს. ეს იმ ინგრედიენტების წყალობითაა შესაძლებელი, რომელიც ადამიანს ბედნიერების შეგრძნებას ანიჭებს, ზრდის რა, ორგანიზმში, გარკვეული ქიმიური ნივთიერებების – სეროტონინის, დოფამინის, ოქსიტოცინისა და ენდორფინების დონეს. ყველა ეს ნივთიერება კარგ განწყობას ჰგვრის ადამიანს, ორგანიზმს კი მათი გამომუშავება პომიდვრის სოუსის, მოცარელას, ზეთისხილის, თინუსის, წითელი ხახვისა და ტკბილი სიმინდის მირთმევის შედეგად შეუძლია. სწორედ ეს კომპონენტებია „ბედნირების“ პიცის საფუძველი. სიახლე პიცერიის მენიუში ცოტა ხნის წინ გამოჩნდა და უკვე ძალიან პოპულარულია.

მოსახლეობას ხორცის ნაკლებად ჭამას სთხოვენ

სპეციალისტების გათვლებით, ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად, ადამიანებმა ხორციდან, თევზიდან, კვერცხიდან, რძის პროდუქტებისა და ცხოველური ცილის სხვა წყაროებიდან დღეში არაუმეტეს 350 კალორია უნდა მიიღონ. დანარჩენი 2 000-ზე მეტი კალორია კი ორგანიზმმა მცენარეული პროდუქტებიდან უნდა მიიღოს. ხილსა და ბოსტნეულზე გათვლილია 720 კალორია, მარცვლეულ პროდუქტებზე – 820, მცენარეულ ცხიმზე, ნიგოზზე, პარკოსნებზე, შაქარსა და სახამებლის შემცველებზე, როგორიც არის კარტოფილი – 400 კალორია. მოსახლეობის კვებითი ჩვევების გადახედვა, სწავლულების გათვლებით, შეამცირებს ჭარბი წონით გამოწვეულ დაავადებებს და ამ მიზეზით სიკვდილიანობაც მოიკლებს. ამ გზით, 2060 წლისთვის, შესაძლებელი იქნება, რომ ყოველწლიურად, 26 მილიონი ადამიანის სიკვდილი ავიცილოთ თავიდან.

ეკოლოგიური ავოკადო შექმნეს

ბრიტანელმა სპეციალისტებმა ეკოლოგიური ავოკადო შექმნეს ვაშლისა და პარკოსნებისგან, რათა ადამიანები იმპორტირებულ ხილს გადააჩვიონ. ერთ-ერთი ავტორი, დიზაინერი არინა შოკოუი ამტკიცებს, რომ ჯანსაღი ცხოვრების მიმდევრები ავოკადოს დიდი რაოდენობით მიირთმევენ. არადა, სულ ერთი ცალი ნაყოფის მოსაყვანად, 320 ლიტრი წყალი იხარჯება. გარდა ამისა, მონოკულტურული პლანტაციების გასაშენებლად ტროპიკული ტყე იჩეხება – ეს კი ზიანს აყენებს ბიომრავალფეროვნებას. ეკოლოგიურ ავოკადოს „ეკოვადო“ უწოდეს. ის დაფქვილი პარკოსნების, ვაშლისა და თხილისგან არის შექმნილი. ყველა პროდუქტი ადგილობრივია. კურკის ნაცვლად, „ეკოვადოში“ კაკალია, ამ იმიტაციური ხილის კანი ცვილისგანაა დამზადებული და საკვებად ვარგისი მწვანე საღებავითაა შეღებილი. გარსი ბიოხრწნადია, სურვილის შემთხვევაში, მისგან სანთლის დამზადებაც შეიძლება.

ფულს გაღვიძებით მოულობს

ავსტრალიელი ბლოგერი, ჯეიკი ბემი გამომწერებისგან ფულს იმაში იღებს, რომ მათ აქვთ შესაძლებლობა, ის გააღვიძონ. ამ გზით მიღებული ბემის ყოველთვიური შემოსავალი 28 ათასი დოლარია. ახალგაზრდა მამაკაცმა საკუთარ საძინებელში დინამიკები, ლაზერი და საპნის ბუშტების გამშვები მოწყობილობა დადგა. მან განაცხადა, რომ ნებისმიერ გამომწერს შეუძლია ფული გადაიხადოს და რომელიმე მელოდიის თანხლებით ბლოგერი გააღვიძოს, ბონუსად კი ლაზერის შოუს მიიღებს. დროთა განმავლობაში, ბლოგერი საკმაოდ პოპულარული გახდა სოციალურ ქსელში, მას ნახევარ მილიონზე მეტი გამომწერი ჰყავს. მსურველებიც საკმაოდ არიან, რომლებიც მას ფულს ურიცხავენ და სანაცვლოდ, აღვიძებენ კიდეც, როგორც ღამით, ისე – დღისით. მიღებული შემოსავლით ჯეიკი გახარებულია და მიღწეულზე გაჩერებას არ აპირებს. ის ყოველდღიურად პირდაპირ ჩართვებს აკეთებს და გამომწერებისთვის ახალ ფუნქციებს ამატებს. თუმცა, ბემი იმასაც აღიარებს, რომ ადამიანების აქტიურობის გამო, ნორმალურად გამოძინებას ვერ ახერხებს.

სასტუმრო წიგნის მოყვარულებისთვის

წიგნის კითხვა ბევრ ადამიანს უყვარს, თუმცა არიან ისეთებიც, რომლებსაც არ შეუძლიათ დაძინება, თუ წიგნის ერთი-ორ გვერდს მაინც არ გადაფურცლავენ. სწორედ ასეთი ადამიანებისთვის გაიხსნა ტოკიოში სასტუმრო – Book and Bed („წიგნი და საწოლი“). ეს იდეალური ადგილია იმისთვის, რომ საკითხავთან ჩახუტებულმა დაიძინოთ. ასეთი სასტუმროს იდეა ფირმის Suppose Design დიზაინერებს ეკუთვნით. ოტელში ორი სახის ნომრებია: „კომპაქტური“ – იქ 205X85 სმ-ის განყოფილებაა საწოლით და „სტანდარტული“ – 205X129 სმ-ის. ორივე მათგანი სივრცეს წიგნის თაროებთან იყოფს. ამ უჩვეულო ოტელში ღამის გატარება 3 800-დან 6 ათას იენამდე ღირს (32-დან 50 დოლარამდე). ჯერჯერობით, სასტუმრო-ბიბლიოთეკაში მხოლოდ 1 700 წიგნია იაპონურ და ინგლისურ ენებზე, თუმცა ახლო მომავალში, მისი მესვეურები აპირებენ, ის 300 000 ეგზემპლარამდე შეავსონ.

ღატაკმა მეთევზემ იშვიათი მარგალიტი იპოვა

37 წლის ტაილანდელმა მეთევზემ უჩვეულო, ფორთოხლისფერი მარგალიტი შემთხვევით აღმოაჩინა. ოკეანის სანაპიროზე, მოქცევის შემდეგ, ოჯახთან ერთად, ის მოლუსკებს აგროვებდა. ნაპოვნ ძვირფას ქვას მელოს მარგალიტს ეძახიან, რადგან მას ზღვის ლოკოკინა – „მელო მელო“ ბადებს და სადაფისგან არ შედგება. მისი გავრცელების არეალი ვიეტნამი და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის წყლებია. „მელო მელო“ 10 მეტრის სიღრმეზე ცხოვრობს და საკმაოდ იშვიათია. ნაპოვნი მარგალიტი არა მხოლოდ ფერით, არამედ, ფორმითაც საკმაოდ იშვიათია – ის თითქმის იდეალურად მრგვალია. მარგალიტის სავარაუდო ფასი, არანაკლებ, 300 000 დოლარია.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.